



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

- რუსული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
(უმადლესი განათლების VI საფეხური);
- რუსული ფილოლოგიის (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა
(უმადლესი განათლების VI საფეხური);
- სლავური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
(უმადლესი განათლების VII საფეხური);
- სლავური ფილოლოგიის (რუსულენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა
(უმადლესი განათლების VII საფეხური);
- თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის საგანმანათლებლო პროგრამა
(უმადლესი განათლების VII საფეხური);

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30-31 იანვარი, 1 თებერვალი, 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 აპრილი, 2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	15
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	15
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	55
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	73
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	80
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	107

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე არაშვიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან სვანიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელისო ფანცხავა, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	რუსული ფილოლოგია	რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი)	სლავური ფილოლოგია	სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი)	თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი	რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი	სლავური ფილოლოგიის მაგისტრი	სლავური ფილოლოგიის მაგისტრი	თარგმანმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231.1.14 რუსული ფილოლოგია	0231.1.14 რუსული ფილოლოგია	0231.1.12 სლავური ფილოლოგია/სლავისტიკა	0231.1.12 სლავური ფილოლოგია/სლავისტიკა	0231.2.2 თარგმანმცოდნეობა Translation Studies
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³					
სწავლების ენა	ქართული	რუსული	ქართული	რუსული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	120	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული № 182, 28.10.11	აკრედიტებული № 183, 28.10.11	აკრედიტებული № 218, 18.07.12	აკრედიტებული № 232, 18.07.12	აკრედიტებული № 224, 18.07.12

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

³ (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ⁴**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის, სლავური ფილოლოგიისა და თარგმანმცოდნეობისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის კლასტერი, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის 5 პროგრამას აერთიანებს.

- რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და რუსული ფილოლოგიის (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამა (აკრედიტებული 2011 წელს) – შედგება 240 ECTS კრედიტისგან, საიდანაც 50 ECTS კრედიტი ეთმობა საბაზისო ჰუმანიტარულ კომპეტენციას და არჩევით კურსებს; 120 ECTS განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (პროფილური) სპეციალობისთვის; სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ დამატებითი საბაკალავრო პროგრამა (სპეციალობა) 60 ECTS-ის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ აირჩევს დამატებით პროგრამას, 60 ECTS შეიძლება დაგროვდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამიდან. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს, დაგეგმოს საკუთარი სასწავლო პროცესი, შეიძინოს ცოდნა და კომპეტენციები დამატებით სპეციალობაში საკუთარი პრეფერენციების მიხედვით.
- სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და სლავური ფილოლოგიის (რუსულენოვანი) სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტებული 2012 წელს) - სამაგისტრო პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: პროგრამის ძირითად კურსებზე გათვალისწინებულია 25 ECTS, სპეციალიზაციის მოდულებზე განაწილებული - 30 ECTS და არჩევითი კურსებზე - 35 ECTS კრედიტისგან. 30 ECTS კრედიტი ასევე ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და კომისიის წინაშე დისერტაციის საჯარო დაცვას.
- თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამა (აკრედიტებული 2012 წელს) - ასევე მოიცავს 120 ECTS კრედიტს. თითოეული მოდულისთვის გამოყოფილია 30 კრედიტი. ორ მოდულს შორის კავშირი უზრუნველყოფილია სავალდებულო კურსების (30 ECTS) და ასევე არჩევითი კურსების (30 ECTS) თანმიმდევრობით, რომლებიც საერთოა ორივე მოდულისთვის.

საბაკალავრო პროგრამები მომზადდა რუსისტიკისა და სლავისტიკის დარგის საუნივერსიტეტო ტრადიციებზე დაყრდნობით, დარგის საუკეთესო პრაქტიკისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

⁴ პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

აღნიშნული პროგრამების შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია უნივერსიტეტისათვის, სტრატეგიული პოლიტიკისა და მესამე მისიის ფარგლებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო, "რუსული ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო, "სლავური ფილოლოგიის" სამაგისტრო, "სლავური ფილოლოგიის" (რუსულენოვანი) სამაგისტრო და "თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 26 იანვრის № MES 4 23 0000082266 ბრძანების შესაბამისად ჩამოყალიბებულმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი 2023 წლის 30-31 იანვარსა და 01 თებერვალს.

აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ZOOM პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი შეკითხვების დაზუსტება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

ვიზიტის მიმდინარეობისას, დღის წესრიგის მიხედვით, სამი დღის განმავლობაში ჩატარდა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელსა და წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ასევე, შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულად და თანამშრომლობით გარემოში; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტისას გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ჩამოაყალიბეს ზოგადი მიგნებები და გაუზიარეს უსდ-ს წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა 1 და პროგრამა 3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ამასთან, 2.4 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. თუმცა, 4.4 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

- რეკომენდებულია რუსული ფილოლოგიის მოდულის მიზნები მოვიდეს თანხვედრაში „რუსული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარების“ მიზნის მიღწევის რეალისტურობასა და საჭიროებებთან (მაგ. მთარგმნელობითი უნარების თემატიკის დამატების მეშვეობით).

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა);

- მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა შედეგები სრულყოფილად პასუხობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და მიღწევადობას.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

- მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან, რათა შედეგები სრულყოფილად პასუხობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და მიღწევადობას.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

- მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო კურსის „თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია“ დაშვების წინაპირობა.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

- რეკომენდირებულია, არსებული სასპეციალიზაციო მოდულები თანაბრად უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას ენის დაუფლების ნაწილში, ასევე მოდულის სწავლის შედეგებში გაწერილ იქნას ენის ფლობის დონე, რათა ცხადად დადგინდეს მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში პრაქტიკის კომპონენტის დამატება, რაც სტუდენტებს პროგრამის შესწავლისას შეძენილი ცოდნის, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების, ავტონომიურობის დემონსტრირებისა და ფასეული პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებას მისცემს.
- რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს სახელმძღვანელოთა ნაწილი, ჩანაცვლდეს მოძველებული სახელმძღვანელოები, ზოგ შემთხვევაში კი დაემატოს სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ იქნება მორგებული კურსის სპეციფიკას, გადამოწმდეს ყველა იმ ელექტრონული ბმულის ვალიდურობა, რომელიც სილაბუსებშია წარმოდგენილი.

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

- მიზანშეწონილია „რუსული ენიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ სასწავლო კურსის სილაბუსი გამდიდრდეს სტუდენტების მთარგმნელობითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების მეთოდიკითა და შინაარსით.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა), პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

- ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო კურსი გამრავალფეროვნდეს სწავლის მეთოდებით, როგორცაა ესე, რეფერატი, ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია, სილაბუსში დასახული მიზნების მისაღწევად.

2.4. სტუდენტების შეფასება

- რეკომენდირებულია სილაბუსებში მოცემული დავალებების, პრეზენტაციების, საგამოცდო თეორიული საკითხების ზუსტი და მკაფიო ფორმულირება, რათა ნათლად გამოჩნდეს შეფასების კომპონენტის კავშირი სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

4.4. მატერიალური რესურსი

- მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნას კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის განთავსება ბიბლიოთეკაში, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

- სასურველია აკადემიური პასუხისმგებლობის შესახებ პროგრამის მიზნების ჩანაწერის მეტად დაკონკრეტება.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- სასურველია სამიზნე ნიშნულების გამრავალფეროვნება, რათა მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

- სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები, მეტი მოქნილობა შეიძინოს საგნების არჩევის სისტემამ, რათა სტუდენტებმა მოახერხონ იმ საგნის არჩევა, რომელზე დარეგისტრირებაც სურთ.

- სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი ასარჩევი საგნებისა და დამატებითი სპეციალობის შესახებ, რათა მათ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება შეეძლოთ.

პროგრამა 3 და 4 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა), (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

- სასურველია, სასწავლო კურსი „სლავური ქვეყნების მასობრივი ლიტერატურა“ გადავიდეს არჩევით კურსად, ხოლო სავალდებულო კურსების ჩამონათვალს დაემატოს ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესების, წამყვანი ლიტმცოდნეობითი სკოლების და ლიტერატურის კვლევის მეთოდოლოგიის შინაარსის სასწავლო კურსი.

პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

- სასურველია დარგობრივი თარგმანის სპეციალიზაციის სტუდენტებს ჰქონდეთ დარგობრივი ლექსიკონის შედგენის და მასზე მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლების შესაძლებლობა, თუნდაც, საზაფხულო სკოლის ფორმატში.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასურველია სალექციო კურსებში ელექტრონული რესურსების მეტად ინტენსიური გამოყენება, ლექტორ-მასწავლებლების კუთვნილი ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადატანა, ან ქსეროასლების დამზადება, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზების სრულად ათვისება, სხვადასხვა პერიოდული გამოცემებით, ინტერნეტ აუდიო-ვიდეო რესურსებით სარგებლობა, რაც სტუდენტებს უახლეს მასალასთან გაცნობის საშუალებას მისცემს.

პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

- სასურველია, რომ სტუდენტებმა, რომლებიც დარგობრივი თარგმანის მოდულს შეისწავლიან, შეიძინონ საბაზისო ლექსიკოგრაფიული უნარ-ჩვევები, როგორცაა დარგობრივ ლექსიკონზე მუშაობა, დარგობრივი ლექსიკონის შედგენა (საზაფხულო სკოლის, ან რაიმე სხვა ექსტრა-კურიკულარული აქტივობის ფორმატში).

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპრობები

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)

- სასურველია გასწორდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ნაწილში.

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- სასურველია უსდ-მ მეტად გააქტიუროს მუშაობა სტუდენტებისათვის კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი შესაძლებლობების გამრავალფეროვნების მიმართულებით.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო ბაზების პოპულარიზაციის მიმართულებით მუშაობა, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
- სასურველია სწავლების მეთოდები სილაბუსებში მიეთითოს არსებული რეალური პრაქტიკის შესაბამისად, ასევე, სასწავლო კურსების ფარგლებში თხრობითი და ზეპირსიტყვიერი კარნახის მეთოდები ჩანაცვლებულ იქნას სწავლების მეტად თანამედროვე მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, სტუდენტებს შორის ინტერაქციას და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

2.4. სტუდენტების შეფასება

- სასურველია, რომ სილაბუსებში, სადაც ფინალური გამოცდა ოთხი თეორიული საკითხითაა წარმოდგენილი, ერთი საკითხი პრაქტიკული დავალებით ჩანაცვლდეს.

პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

- სილაბუსებში, სადაც ფინალურ დავალებას წარმოადგენს ერთი ტექსტის თარგმანი, რომელიც 40 ქულით ფასდება, სასურველია რუბრიკის დეტალურად ჩაშლა 20 ქულის ქვემოთაც, რათა სტუდენტმა სათანადო უკუკავშირი მიიღოს საკუთარ შეცდომებთან დაკავშირებით და ადეკვატურად შეაფასოს ნაშრომის აპელაციაზე გატანის მართებულობა.

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

- „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამაში სამეტყველო კომუნიკაციისა და სოციალური უნარების გაუმჯობესების მიზნით სასურველია ჩაშენდეს სამეტყველო პრაქტიკა.

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა) და პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

- სასურველია კრედიტების განაწილებისა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრის პროცესში მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

- სასურველია წახალისებულ იქნას სტუდენტების თვითშეფასების პროცესში პირდაპირი მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს მათი ინიციატივისა და ენთუზიაზმის გამოვლენას პროგრამების განვითარების პროცესში.
- სასურველია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტებისათვის მეტი გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კლასტერში შემავალი პროგრამების შეფასების გადახედვის თაობაზე და მართებულად მიიჩნია სწავლება-სწავლის შედეგების ნაწილში გაცემული რეკომენდაციის რჩევის სახით წარმოდგენა, ვინაიდან, აღნიშნული რეკომენდაცია არ მიემართებოდა თარგმანმცოდნეობის პროგრამას და შესაბამისად, გამოიკვეთა არაერთგვაროვანი მოცემულობა აღნიშნულ პროგრამებთან მიმართებით. დანარჩენი რეკომენდაციები ექსპერტთა მოსაზრებით დარჩა უცვლელი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁶
2. კლასტერული შეფასება⁷

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	

⁶ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁷ შეფასების მიდგომები: **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისა და უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, გაზომვადი და უმეტესად მიღწევადია. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმასა და უნივერსიტეტის მისიასთან. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე მისიიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ერთერთი უმთავრესი პრიორიტეტია საზოგადოების განვითარებისთვის შექმნას და შეინარჩუნოს პროგრამები. რუსული ფილოლოგიის მნიშვნელობას უსდ აღიქვამს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც, ამიტომაც მიუხედავად ზოგიერთი პროგრამის მცირერიცხოვნებისა, უნივერსიტეტი ინარჩუნებს აღნიშნულ პროგრამებს და განხორციელებული აქტივობების პარალელურად, აქვთ მოლოდინი რომ სტუდენტების რიცხვი მოიმატებს. პროგრამების მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს რომელიც ექნებათ პროგრამის კურსდამთავრებულებს.

უნდა აღინიშნოს, პროგრამების ფარგლებში განხორციელებული შრომის ბაზრის ანალიზი, რომელიც ცხადყოფს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებას, ინტეგრირებული კვლევის მნიშვნელოვანი შედეგებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 154 ორგანიზაციამ. ანალიზის შესაბამისად, გაზრდილია რუსული ენის

სპეციალისტებზე მოთხოვნა 44 სკოლაში, რამდენიმე სკოლას ესაჭიროება უკრაინული ენის სპეციალისტები, ორგანიზაციის 18-20 % სჭირდება მთარგმნელობითი მომსახურება და ა.შ.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიზნები საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის სფეროს და ობიექტური მოცემულობებიდან თავისებურებიდან გამომდინარე, შეძლებისამებრ ასახავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. პროგრამების პოპულარიზაციის მიმართულებით, უნივერსიტეტი ახორციელებს „საბავშვო უნივერსიტეტის პროექტს“, რომლის ფარგლებშიც იმართება ლექციები სკოლის მოსწავლეებთან და ლექციათა ციკლი გამოიყენება როგორც დარგის პოპულარიზაციის, ასევე დარგის განვითარებისათვის. მეტწილად რუსული ფილოლოგიისა და სლავური ფილოლოგიის პროგრამების სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ეთნიკური ქართველები რომლებიც ცხოვრობენ პოსტ-საბჭოთა სივრცეში და პროგრამა სთავაზობს მათ სამშობლოში დაბრუნების ერთ-ერთი შესაძლებლობას. გარდა ამისა, პროგრამების კონტიგენტი მრავლადაა წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქე არაეთნიკური ქართველებით.

მიუხედავად ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არცთუ მრავალფეროვანი არჩევანისა, უსდ უზრუნველყოფს „ინტერნაციონალიზაცია შინ“ პოლიტიკის გატარებას, საგნების ინტერნაციონალიზაციის ხარჯზე და ასევე მუშაობს გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიმართულებით. პროგრამების ფარგლებში, უსდ აქტიურად თანამშრომლობს ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებში პროფესორთა ვიზიტების, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი კვლევითი შესაძლებლობების მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობენ.

აღსანიშნავია, რომ პროგრამების მიზნები და კონცეფცია გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად, ყველა აკრედიტებული პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს აკადემიური პროგრამების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დეტალურად აღწერილ მიზნებს. საბაკალავრო საფეხურზე სწავლის განმავლობაში სავსებით რეალისტურია პროგრამის მიზნების მიღწევა, სახელდობრ: თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს კომპლექსურ ფუნდამენტურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, რომელთა მეშვეობით კურსდამთავრებულს შეეძლება ფილოლოგიის დარგში თანამედროვე სამეცნიერო პარადიგმების ინტერპრეტირება, რუსული ფილოლოგიის დარგში ფართო და ღრმა ცოდნის დემონსტრირება; რუსულ

ენასთან, მის ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების, თეორიების, პრინციპებისა და უახლესი პრობლემატიკის განსაზღვრა და ინტერპრეტირება; სფეროში ძირითადი კონცეფციების და დებულებების მიმოხილვა.

ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების სინთეზს; პროგრამა მოიცავს რუსული ფილოლოგიის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, უმეტესად შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. აღწერილი მიზნები კი შეესაბამება როგორც სწავლის სფეროს აღწერას, რომელიც მოცემულია უცხო ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში, ისე კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერს.

შრომის ბაზრის კვლევის ანალიზის შედეგად, რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის პოტენციურ დამსაქმებლად მოიაზრება საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო დაწესებულება, კერძოდ: საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (საბაკალავრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); დიპლომატიური წარმომადგენლობები და მისიები, საერთაშორისო კომპანიები, სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროები (თარჯიმნის პოზიციაზე); კულტურის სფეროს დაწესებულებები; ტურიზმის სფერო; ბიბლიოთეკები, არქივები და მუზეუმები; საგამომცემლო დაწესებულებები და რედაქციები; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ-გამოცემები და სხვ.); საგანმანათლებლო დაწესებულება, სამინისტრო, ბანკი, სასტუმრო და უნივერსიტეტი. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დასაქმების შესაძლებლობები და შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო საფეხური)

“რუსული ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას. პროგრამა შედგენილია თსუ-ს ფილოლოგიური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების შედგენის წესისა და მოთხოვნების შესაბამისად. მიზნები რეალისტური და მიღწევადია, დაკონკრეტებულია მისაღწევი ცოდნისა და უნარების სფეროში, თუმცა, მათი ფორმულირება აკადემიური პასუხისმგებლობის შესახებ ზოგადია და სასურველი იქნება მეტად დაკონკრეტება. პროგრამაში მოცემულია ოთხი ვრცელი მიზანი, რომელშიც გამოყოფილია ზოგადი ფილოლოგიური ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა, პროფესიული კომპეტენციის ენობრივი, ლიტერატურული და კულტურული კომპონენტები. კარგად არის დაბალანსებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შესაბამისობა. პროგრამის თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ რუკაში მოცემულია მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა.

აღსანიშნავია, რომ „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საქართველოს ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ლექტორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან საუბრის დროს ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ამ პროგრამაზე მოდიან აბიტურიენტები საქართველოს ისეთი რაიონებიდან, რომლებიც ქართული ენა არ იციან, და რუსული ენის დახვეწა ესაჭიროებათ. ამავდროულად ქართულ ენასაც სწავლობენ. დამსაქმებლებმაც ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ამ პროგრამის განხორციელება საშუალებას აძლევს იმ რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლება მიიღონ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა ჩამოაყალიბეს არგუმენტირებული პოზიცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროგრამა შენარჩუნებული იყოს თსუ-ს სტრუქტურაში, მიუხედავად მცირე კონტინგენტისა (საქართველოში დიდი რაოდენობით ბრუნდებიან ჩვენი მემამულენი სხვადასხვა ქვეყნებიდან).

ინტერვიუმ აგრეთვე ცხადყო, რომ პროგრამის მიზნებს იცნობს და სრულად იზიარებს „რუსული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირი. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები დეტალურადაა აღწერილი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული. სამაგისტრო საფეხურზე სწავლის განმავლობაში სავსებით რეალისტურია პროგრამის მიზნების მიღწევა, სახელდობრ: „თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელიც ფლობს სლავურ ფილოლოგიაში კომპლექსურ ცოდნას, დარგობრივ და ზოგად ტრანსფერულ უნარებს, აღჭურვილია შესაბამის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ცოდნითა და უნარებით.

თუმცა, ყურადსაღებია მიზანთა შორის დასახელებული - “ჩამოყალიბოს კურსდამთავრებულს „რუსული/პოლონური/უკრაინული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარები“. თანამედროვე პოლიკულტურულ სამყაროში მთარგმნელობითი უნარის ფლობა, განსაკუთრებით ფილოლოგისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა, რომელიც მოდულურია და სტუდენტის მიერ საკუთარი სურვილისა და მიზნების შესაბამისად კონკრეტული სასპეციალიზაციო მოდულის არჩევის შესაძლებლობას აძლევს, უნდა ითვალისწინებდეს, თითოეული მოდულის მეშვეობით პროგრამის მიზნის მიღწევის საშუალებას. უკრაინული ფილოლოგიის მოდულში გათვალისწინებულია „უკრაინული ენიდან თარგმანის პრაქტიკული კურსი“, პოლონური ფილოლოგიის მოდულში კი დაგეგმილია საგნის „პრაქტიკული კურსი პოლონურიდან თარგმანში“

სწავლება. აღნიშნული სასწავლო კურსები, მათი სახელწოდებები და შინაარსი ცხადყოფს, რომ რომელიმე სხვა ენიდან უკრაინულ ან პოლონურ ენებზე თარგმნის უნარის დაუფლების საშუალებას მისცემს სტუდენტს, თუმცა რუსული ფილოლოგიის მოდული საჭიროებს მთარგმნელობით უნარ-ჩვევების კურსის დამატებას (დამატებით იხ. 1.2 და 1.4 კომპონენტებში გაცემული რეკომენდაციები).

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში აღწერილი მიზნები, შეესაბამება როგორც სწავლის სფეროს აღწერას, რომელიც მოცემულია უცხო ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში, ისე კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეშვიდე დონის აღმწერს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო საფეხური)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სლავური ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას. პროგრამა შედგენილია თსუ-ს ფილოლოგიური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად და ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საქართველოს ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. პროგრამაში წარმოდგენილია ხუთი ვრცლად გაშლილი მიზანი, რომელიც ორიენტირებულია შესამაბისი დონის მოთხოვნების მისაღწევად. პირველ და მესამე მიზანში ჩამოყალიბებულია მისაღწევი თეორიული ცოდნა სლავურ ფილოლოგიაში და კონკრეტულად ლინგვისტურ და ლიტერატურულ კომპონენტში. მეორე და მეოთხე მიზანი აკონკრეტებს რა უნარების ჩამოყალიბება/გადრმავებას ისახავს პროგრამა მიზნად, მეხუთე მიზანი ორიენტირებულია კულტურულ კომპონენტზე, სლავებისა და ქართველების კულტურული მემკვიდრეობის ანალიზზე, ინტერნაციონალიზაციის საკითხზე.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა ჩამოაყალიბეს არგუმენტირებული პოზიცია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროგრამა შენარჩუნებული იყოს თსუ-ს სტრუქტურაში, მიუხედავად მცირე კონტინგენტისა. ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირება დასტურდება აგრეთვე კვალიფიციური ადგილობრივი ბაზრის ინტეგრირებული კვლევის შედეგებით, ყველა დამსაქმებელი პირველ რიგში ხაზს უსვამს კომუნიკაციის უნარების მნიშვნელობას.

თსუ-ში ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სამაგისტრო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, ყველა ლექტორ-მასწავლებელი, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია და განთავსებულია საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო საფეხური)

თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, აღჭურვილნი როგორც თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, ასევე პროფესიული უნარებით. საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნები შეესაბამება დარგის თანამედროვე მოთხოვნებს და ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმას, ასევე უნივერსიტეტის მესამე მისიას. პროგრამის მიზნები დაჯგუფებულია 3 კატეგორიად:

- მოამზადოს ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი თარგმანმცოდნეები და პრაქტიკოსი მთარგმნელები, რომელთაც ექნებათ სფეროს უახლეს მიდევნებზე დაფუძნებული ღრმა, სისტემური დარგობრივი ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრების უნარი ინოვაციებისა და ახალი ორიგინალური იდეების განსავითარებლად. აღჭურვოს ისინი თარგმანის პროცესის მახასიათებლების ღრმა ცოდნითა და გააზრებით; შესძინოს მათ თარგმანმცოდნეობის უახლესი კვლევის მეთოდებისა და მიდგომების ცოდნა, რასაც წარმატებით გამოიყენებენ კვლევითი დასკვნების გასაკეთებლად.
- გამოუმუშაოს თარგმანმცოდნეებს რთული თარგმანმცოდნეობითი პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიების უნარი; კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით; რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გაანალიზებისა და ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი, რათა მათ შეძლონ წარმატებით იკვლიონ თარგმანმცოდნეობის პრობლემები, განახორციელონ პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობა და დააკმაყოფილონ შრომით ბაზარზე ინდივიდუალური, სოციალური ან ინსტიტუციური საჭიროებები.
- გამოუმუშაოს კვლევისა და თარგმანის სტრატეგიის ფორმირებისა და განვითარების პროცესში მაღალი პროფესიული სტანდარტებით პასუხისმგებლობის, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დაცვის, საკუთარი სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გაცნობიერების უნარი; აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენისას აკადემიური ეთიკის სტანდარტების განუხრელად დაცვის პასუხისმგებლობა.

როგორც წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებიდან და განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის ინტერვიუებიდან გამომდინარე დგინდება, წარმოდგენილი პროგრამა პასუხობს შრომის ბაზარზე არსებულ ტენდენციებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები და კონცეფცია გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. უნივერსიტეტში

არსებული წესის შესაბამისად, ყველა აკრედიტებული პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება (თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი, 2020);
- მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- უსდ-ს ვებ-გვერდი: www.tsu.ge;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია აკადემიური პასუხისმგებლობის შესახებ პროგრამის მიზნების ჩანაწერის მეტად დაკონკრეტება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია რუსული ფილოლოგიის მოდულის მიზნები მოვიდეს თანხვედრაში „რუსული ენის წერითი და ზეპირი კომუნიკაციური და მთარგმნელობითი უნარების“ მიზნის მიღწევის რეალისტურობასა და საჭიროებებთან (მაგ. მთარგმნელობითი უნარების თემატიკის დამატების მეშვეობით).

რჩევ(ებ)ი:

შეფასება ⁸

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

⁸ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის თვალსაზრისით არის თანმიმდევრული და ვითარდება შესაბამისი საფეხურების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები შედეგები ძირითადად ლოგიკურად გამომდინარეობს აღნიშნული პროგრამების მიზნებიდან და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამების სწავლის შედეგები აღწერს ძირითად ცოდნას, უნარ-ჩვევებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში. პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით, სწავლების მეთოდებით სისტემურად უზრუნველყოფს დასახული მიზნების ადეკვატური შედეგების მიღწევას და სლავური ფილოლოგიის რამდენიმე მიმართულების, კერძოდ, რუსული, უკრაინული და პოლონური ფილოლოგიის და თარგმანმცოდნეობის სფეროში პრაქტიკული თარგმანის განხრით აკადემიური ხარისხების მქონე სპეციალისტების მომზადებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ და ინტერვიუებმა დაადასტურა აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები უმეტესად გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას, ითვალისწინებს დარგის თანამედროვე მოთხოვნებსა და შრომის ბაზრის ტენდენციებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია. სწავლის შედეგებში ჩამოყალიბებულია ცოდნისა და

გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კატეგორიები. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. საბაკალავრო ნაშრომი, აქტივობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და ა.შ.) უზრუნველყოფს სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ხელშეწყობასა და განვითარებას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო დონეს და ფარავს პროგრამაში დეკლარირებულ მიზნების შესაბამის კომპონენტებს. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და მეტწილად მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში, ისევე როგორც მის ანოტაციაში, აღნიშნულია, რომ „სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა) ჩართულობით“. „რუსული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის შედეგები მართებულადაა წარმოდგენილი მიზნებისა და შედეგების რუკაში. მითითებული შედეგების მიხედვით გაწერილია გაზომვის კრიტერიუმები არჩეული ნიშნულების მეშვეობით. თუმცა ყველა მოდულში და სასწავლო კურსებში გამოყენებულია ერთნაირი ნიშნულები: შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა და ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი. სასურველი იქნებოდა ნიშნულების არჩევის დროს სასწავლო კურსების სპეციფიკის მეტად გათვალისწინება.

ყურადსაღებია განაცხადი იმის თაობაზე, რომ „რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული „ფლობს რუსული ფილოლოგიის ძირითად ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით თეორიებს, პრინციპებს და კვლევის მეთოდებს; თარგმანმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და პრინციპებს.“ მაგრამ, ამავდროულად, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსთა შორის არ არის გათვალისწინებული კომპონენტი, რომელიც აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს შესძენს თარგმანმცოდნეობის თეორიებისა და პრინციპების ცოდნას. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ყველა ფილოლოგიურ პროგრამათა ბლოკში განთავსებული სასწავლო კურსი „რუსული ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, როგორც თავად დასახელებიდან ჩანს, კურსდამთავრებულს მხოლოდ ვიწრო, კონკრეტული ენობრივი საქმიანობის განხორციელების უნარს შესძენს. თუმცა, ამავდროულად, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკაზე ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსთა შორის ნახსენებია სასწავლო კურსი „თარგმანის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკა“, რომელიც შესძენდა კურსდამთავრებულს ზემოთ აღნიშნულ ცოდნას და უნარებს, მაგრამ მას ვერ ვხვდებით რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო საფეხური)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება მისანიჭებელ

კვალიფიკაციას. პროგრამა ითვალისწინებს 11 სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელთაგან ოთხი ორიენტირებულია რუსული ფილოლოგიის ცოდნის განვითარებაზე (ენობრივი, ლიტერატურული და კულტურული კომპონენტების გათვალისწინებით), ოთხი ითვალისწინებს ტრანსფერული და კონკრეტული უნარების განვითარებას და სამი - აკადემიურ კეთილსინდისიერებას. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დებულების თანახმად. “რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილ მიზნებისა და შედეგების რუკაში. მითითებული შედეგები არის მიღწევადი და რეალისტური, მათი გაზომვა დაგეგმილია არჩეული ნიშნულების მეშვეობით. თუმცა ყველა მოდულში და სასწავლო კურსებში გამოყენებულია ერთნაირი ნიშნულები: შუალედური გამოცდა და ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი. სასურველი იქნებოდა ნიშნულების არჩევის დროს სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინება.

აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას განხორციელებული ინტერვიუს ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელმა გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული წინა აკრედიტაციის რჩევები და ახალი კლასტერული აკრედიტაციის მოთხოვნები, აგრეთვე საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია თანამშრომლობის პრინციპით, რაზეც მეტყველებს ინტერვიუს შედეგები პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების კრიტიკული აზროვნების მაღალი დონე და, ამავდროულად, არსებული პროგრამისა და პროგრამული ცვლილებების ობიექტური შეფასება.

“რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. თსუ-ს ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან საუბრისას განხილული იყო მოცემულ კლასტერში პროგრამების დაჯგუფების პრინციპი. სამი პროგრამის გაერთიანება ენის დაუფლების მიმართულებით (0231) - „რუსული ფილოლოგია“ ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, „სლავური ფილოლოგია“ ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა და „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა“ სამაგისტრო პროგრამა - არ იწვევს კითხვებს. რუსულენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით კი ადმინისტრაციის ხედვით წარმოდგენილ იქნა ამ პროგრამების სპეციფიკა და მათი კონტინგენტის თავისებურება ენობრივი თვალსაზრისით

(ძირითადად, აზერბაიჯანული და სომხური ენების მატარებლები, ან სხვადასხვა ქვეყნებიდან დაბრუნებული ქართველები, რომლებიც ქართულ ენას არ ფლობენ).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური)

თსუ-ის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა შესაბამისია და საგანთა თემატური ვარიაციულობით დასტურდება. პროგრამაში შესული სასწავლო კურსების გარკვეული კომპონენტების (მაგ. სამაგისტრო ნაშრომი, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობები და ა.შ.) მეშვეობით პროგრამა მიზნად ისახავს ჩამოყალიბოს და განუვითაროს სტუდენტს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. “რუსული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის შედეგები მართებულადაა წარმოდგენილი მიზნებისა და შედეგების რუკაში. მითითებული შედეგების მიხედვით გაწერილია გაზომვის კრიტერიუმები არჩეული ნიშნულების მეშვეობით. თუმცა ყველა მოდულში და სასწავლო კურსებში გამოყენებულია ერთნაირი ნიშნულები: შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა და ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი. სასურველი იქნებოდა ნიშნულების არჩევის დროს სასწავლო კურსების სპეციფიკის მეტად გათვალისწინება.

პროგრამის შედეგთაგან ყურადსაღებია ცოდნისა და გაცნობიერების ფარგლებში გამოყოფილი „აღწერს რუსული ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ძირითად ეტაპებს; ახდენს 18-20 ს-ის რუსული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემატიკის ინტერპრეტირებას; მიმოიხილავს თანამედროვე რუსული ენის აქტუალურ პრობლემათა წრეს და მათი გადაჭრის განსხვავებულ მიდგომებს“. თუკი პროგრამის მოდულურ სტრუქტურას მივიღებთ მხედველობაში, რომლიც ფარგლებშიც გამოყოფილია რუსული ფილოლოგიის (30 კრედიტი ESTC) უკრაინული ფილოლოგიის (30 კრედიტი ESTC) და პოლონური ფილოლოგიის (30 კრედიტი ESTC) მოდულები და თითოეულ სასპეციალიზაციო მოდულს სასწავლო კურსთა შესაბამისი ბლოკი აქვს, რაც სავსებით ლოგიკურია, ბუნებრივია, ჩნდება მოლოდინი, რომ სავალდებულო საგანთა ბლოკში იქნება გათვალისწინებული სასწავლო კურსი, რომელიც კურსდამთავრებულებს გააცნობს რუსული ლინგვისტური მეცნიერების განვითარების ეტაპებს, პრობლემებსა და მათი გადაჭრის მიდგომებს. თუმცა, ასეთი მიზნების მქონე სასწავლო კურსს შესაბამისი თემატიკითა და შედეგებით სავალდებულო საგანთა ბლოკში ვერ ვხვდებით. შესაბამისად, აღნიშნული შედეგის მიღება იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი უკრაინული ან პოლონური ფილოლოგიის მოდულს აირჩევს, შეუძლებელია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და/ან პროგრამის სტრუქტურაში ცვლილების შეტანა და შესაბამისი სასწავლო კურსის გათვალისწინება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო საფეხური)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სლავური ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამა ითვალისწინებს 10 სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელთაგან ოთხი შედეგი ადგენს რუსული ფილოლოგიის ცოდნის ენობრივ, ლიტერატურულ და კულტურულ კომპონენტებს, ოთხი ითვალისწინებს ტრანსფერული და კონკრეტული უნარების გადრეზავება/გამტკიცებას და ბოლო ორი შედეგი - აკადემიურ კეთილსინდისიერებას და პასუხისმგებლობას. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დებულების თანახმად.

“სლავური ფილოლოგიის“ რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილ მიზნებისა და შედეგების რუკაში. მითითებული შედეგები არის მიღწევადი და რეალისტური, მისაღწევი შედეგების გაზომვის მექანიზმი დაგეგმილია არჩული ნიშნულების მეშვეობით. თუმცა პროგრამის ყველა მოდულში და სასწავლო კურსებში გამოყენებულია ერთნაირი ნიშნულები: შუალედური გამოცდა, დასკვნით გამოცდა და ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი. სასურველი იქნებოდა ნიშნულების არჩევის დროს სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინება.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია თანამშრომლობის პრინციპით, რაზეც მეტყველებს ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. განსაკუთრებულად ძლიერ მხარედ უნდა აღინიშნოს კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების კრიტიკული აზროვნების მაღალი დონე და, ამავდროულად, არსებული პროგრამისა და პროგრამული ცვლილებების ობიექტური შეფასება.

“სლავური ფილოლოგიის“ რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო საფეხური)

თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტებს. აღნიშნული კომპონენტების მიხედვით ჩამოყალიბებულია 8 სწავლის შედეგი, რომლებიც

გათვალისწინებულია თითოეულ სასწავლო მოდულში და სწავლების მეთოდებში. პროგრამის მიზნები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ამასთან, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუებითა და წამორდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. პროგრამის შედეგები მართებულადაა წარმოდგენილი მიზნებისა და შედეგების რუკაში. მითითებული შედეგების მიხედვით გაწერილია გაზომვის კრიტერიუმები არჩეული ნიშნულების მეშვეობით. თუმცა ყველა მოდულში და სასწავლო კურსებში გამოყენებულია ერთნაირი ნიშნულები: შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა და ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი. სასურველი იქნებოდა ნიშნულების არჩევის დროს სასწავლო კურსების სპეციფიკის მეტად გათვალისწინება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება (თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი, 2020);
- მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სამიზნე ნიშნულების დადგენისას მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა შედეგები სრულყოფილად პასუხობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და მიღწევადობას.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან, რათა შედეგები სრულყოფილად პასუხობდეს პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და მიღწევადობას.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(რუსულენოვანი),

მაგისტრატურა)

პროგრამა 5 (თარგმანის

X

□

□

□

თეორია და

მთარგმნელობითი პრაქტიკა,

მაგისტრატურა)

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის მიერ. ჯგუფის წევრები არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და სტუდენტები. პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების გეგმების შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სავალდებულო სასწავლო კურსების მიხედვით. გეგმაში გაწერილია რომელი სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ ცალკეული სწავლის შედეგების შეფასებას, წარმოდგენილია შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები, ინდიკატორები და ინდიკატორების შეფასების რუბრიკები. მხედველობაში მიიღება პროგრამის ყველა სავალდებულო საგნის და კვლევითი კომპონენტის ურთიერთკავშირი, განისაზღვრება შეფასების მეთოდი, სამიზნე ნიშნული, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული, მონაცემების შეგროვების დრო, პასუხისმგებელი პირი, მიღებული შედეგების ანალიზი და ანალიზის შედეგად განხორციელებული ცვლილებები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მხედველობაში ასევე მიიღება სტატისტიკური მონაცემები, პროგრამის კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა საშუალო შეწონილი ქულა, პროგრამიდან განთავსების მაჩვენებელი. რაც შეეხება არაპირდაპირ მექანიზმებს, ყურადღება გამახვილებულია კურსდამთავრებულთა პროფილური დასაქმებისა და დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგებზე - კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვებსა და ფოკუს ჯგუფებში მიღებული ინფორმაციის შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისათვის. შედეგების შეფასების მიხედვით მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც

განიხილება დაინტერესებულ პირთა ჩართულობით, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისთვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ძირითადად შეფასება ხორციელდება სასწავლო კურსის და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდგომ. თუმცა, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხედვით, შეფასების განხორციელება ასევე ინიცირებულია კურსის მიმდინარეობის პროცესშიც, რათა მიღებული მონაცემების ანალიზი გამოყენებულ იქნას კურსის გაუმჯობესებისათვის მის დასრულებამდე

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)⁹

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება (თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტი, 2020);
- მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

⁹ საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და უნივერსიტეტში მოქმედი დებულების (თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“) მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამები წარმოდგენილი შინაარსით შეესაბამება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეექვსე და მეშვიდე დონეებს, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხური, თანმიმდევრულად). რაც შეეხება კლასიფიკატორთან შესაბამისობას, კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამა შეესაბამება ენის დაუფლების დეტალურ სფეროს, შესაბამისად, ამ პროგრამების სტრუქტურა და შინაარსიც პასუხობს მისანიჭებელი კვალიფიკაციების მოთხოვნებს (რუსული ფილოლოგიის ბაკალავრი/სლავური ფილოლოგიის მაგისტრი/ თარგმანთმცოდნეობის მაგისტრი).

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამების კრედიტმოცულობა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შეადგენს 240 კრედიტს, ხოლო, სამაგისტრო პროგრამების - 120 კრედიტს. შინაარსობრივად საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და ითვალისწინებს გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების პრინციპით შინაარსის სემესტრულ განფენილობას. კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი სასწავლო კურსების კრედიტმოცულობა შეფარდებულია ასათვისებელ მასალასთან, სასწავლო კურსებში ლოგიკურად არის განაწილებული საკონტაქტო (სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული მუშაობის), საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

რუსული ფილოლოგიის პროგრამა თავისი შინაარსით, სწავლის შედეგებითა და სირთულით შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერს. პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. მისი შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, ხოლო ხანგრძლივობა — 8 სემესტრი, როგორც ეს საბაკალავრო პროგრამებისთვისაა განსაზღვრული. იგი აგებულია შემდეგი პრინციპით: 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, 120 ECTS კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის კურსებისათვის, 60 ECTS კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი პროგრამის არჩევა და 10 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალ კომპონენტს.

პროგრამის შინაარსში რუსული ფილოლოგიის დეტალური სფეროს ხვედრითი წილი აღემატება 50%-ს და, ამრიგად, პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს - 0231.1.14 რუსული ფილოლოგია.

როგორც ინტერვიუების შედეგად გაირკვა, არჩევითი საგნების შემთხვევაში სტუდენტები ხშირად აწყდებიან პრობლემებს. პროგრამის ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მეტისმეტად ბევრი სტუდენტი რეგისტრირდება საგანზე, უპირატესობა ენიჭება დამამთავრებელი კურსების სტუდენტებს, ვისთვისაც ხსენებული საგანი პრიორიტეტულია სპეციალობასთან მიმართებით და არ წარმოადგენს, ვთქვათ, თავისუფალ კრედიტს. ინტერვიუების განმავლობაში, როგორც თავად პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პირებმა, ისე სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მოხარულნი იქნებიან არჩევითი საგნების რაოდენობისა და მრავალფეროვნების ზრდით, რაც გაზრდის ასევე არჩევანის თავისუფლებას. ერთ-ერთი სტუდენტის განცხადებით, მას არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი საგნების არჩევა აჯობებდა დამატებითი სპეციალობისათვის, შესაბამისად, მეორე კურსზე აირჩია საგნები, რომლებიც, წესით, მეოთხე კურსზე უნდა ესწავლა; მეორე სტუდენტმა კი განაცხადა, რომ დააგვიანდა დამატებით სპეციალობად პედაგოგიკის არჩევა, ნაკლებ ინფორმირებულობის გამო და ახლა მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დამატებითი კურსის გავლა მოუწევს. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები, გამრავალფეროვნდეს არჩევანი და გამოიყოს არჩევითი კომპონენტი იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ, თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთან, გაიზარდოს სტუდენტების ინფორმირება დამატებითი სპეციალობისა და არჩევითი საგნების შესაძლებლობების მიმართულებით.

ასევე, მიზანშეწონილია გადაიხედოს „თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგიისთვის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში აღნიშნული საგნის წინაპირობად გათვალისწინებულია „თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (სინტაქსი)“. თუმცა, აღსანიშნავია რომ თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგიის თემატიკით გათვალისწინებული მასალის დასაუფლებლად სტუდენტს რუსული ენის სინტაქსის სავალდებულო ცოდნა არ მოეთხოვება.

“რუსული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ აკადემიურ პირებს აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლებთან და პოლონეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ქართულ-პოლონურ ურთიერთობების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის გაცნობას.

ადწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS-კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და უნივერსიტეტში დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგიას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა გათვლილია სწავლების რვა სემესტრზე და შედგება 240 ECTS კრედიტიდან: ძირითადი პროგრამის 180 კრედიტის ათვისების გარდა სტუდენტებს აქვთ საშუალება აირჩიონ 60 კრედიტიანი დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტი. აქედან, 50 ECTS კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. 120 ECTS კრედიტი კი განკუთვნილია სპეციალობის ძირითადი და არჩევითი დისციპლინებისათვის, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომისათვის - 10 ECTS კრედიტი. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა, ვინაიდან ის აჯამებს იმ მისაღწევ მიზანს, რომლისკენაც ისწრაფვის პროგრამა: სტუდენტს ექნება გაცნობიერებული ცოდნა, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები, მისი ცოდნა მიმართული იქნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება გაცნობის დონიდან გაღრმავებისა და განმტკიცების დონემდე. სასწავლო კურსების წინაპირობები კარგად არის გააზრებული, რაც დასტუდება წარმოდგენილი სასწავლო გეგმითა და სილაბუსებით. მისასაღებელია, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს თავაზობენ შესასწავლი ენების ფართო არჩევანს (სასპეციალიზაციო ენების გარდა ისწავლება ქართული, ინგლისური, არაბული, უნგრული და სხვ. ენები).

პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რომელთაც შესაბამის მხარდაჭერასა და დახმარებას უწევდა ხარისხის სამსახური და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

“რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ აკადემიურ პირებს აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლებთან და პოლონეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ქართულ-პოლონურ ურთიერთობების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის გაცნობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა თავისი შინაარსით, სწავლის შედეგებითა და სირთულით შეესაბამება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მეშვიდე დონის აღმწერს. პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი, ხოლო ხანგრძლივობა — 4 სემესტრი, როგორც ეს სამაგისტრო პროგრამებისთვისაა განსაზღვრული. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: ა) სასწავლო კომპონენტი – 90 ECTS კრედიტი. აქედან 30 ECTS კრედიტი ეთმობა პროგრამის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო სასწავლო კურსებს. 30 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამაში შემავალი მოდულების სავალდებულო კურსებისათვის; 30 ECTS კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს ბ) კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS კრედიტი. პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს - 0231.1.12 სლავური ფილოლოგია/სლავისტიკა Slavic philology/ Slavonic Studies.

კითხვას აჩენს პარალელურ, თანაბარი სტატუსის მქონე სასპეციალიზაციო მოდულებში ენობრივი დონის საკითხი. პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობა არის სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარება, რომელიც გულისხმობს მაგისტრანტობის მიერ კანდიდატის მიერ რუსული ენის გრამატიკის ცოდნის შეფასებას (მოქმედი სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის საკითხები <https://www.tsu.ge/assets/media/files/57/71/slav.%20%D0%92%D0%BE%D0%BF%D1%80%D0%BE%D1%81%D1%8B%20%D0%B2%D1%81%D1%82%D1%83%D0%BF%D0%B8%D1%82%D0%B5%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D0%B3%D0%BE%20%D1%8D%D0%BA%D0%B7%D0%B0%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%B0%20%D0%BF%D0%BE%20%D1%81%D0%BF%D0%B5%D1%86%D0%B8%D0%B0%D0%BB%D1%8C%D0%BD%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B8%E1%83%98.pdf>). შესაბამისად, რუსული ფილოლოგიის მოდულში

რუსული ენის ინტენსიური კურსის სწავლება არ არის გათვალისწინებული. ამავე დროს უკრაინული ფილოლოგიის მოდულში დაგეგმილია უკრაინული ენის ინტენსიური კურსი 1 და უკრაინული ენის ინტენსიური კურსი 2, რომლის ფარგლებშიც სწავლება იწყება უკრაინული დამწერლობითა და ანბანით და სრულდება სინტაქსით; პოლონური ფილოლოგიის ფარგლებში კი ასევე, სასწავლო კურსების პოლონური ენის ინტენსიური კურსი 1 და პოლონური ენის ინტენსიური კურსი 2 ფარგლებში იგეგმება სწავლების დაწყება პოლონური გრაფიკითა და ფონეტიკით და დასრულება ზმნის ასპექტებით (მორფოლოგიით); შესაბამისად, სამი სასპეციალიზაციო მოდულის დასრულების შემდეგ ვიღებთ კურსდამთავრებულებს, რომლებიც სასპეციალიზაციო ენას სამ სხვადასხვა დონეზე ფლობენ. განსხვავებული ენობრივი კომპეტენციებით. ზოგადად, თავად პროგრამის აღწერილობაში, არც მის სტრუქტურაში არ ფიქსირდება, თუ კონკრეტულად ენის ფლობის რომელ დონეზე გადიან კურსდამთავრებულები თითოეული მოდულის არჩევისა და დასრულების შემთხვევაში.

სამაგისტრო პროგრამა შეიცავს სავალდებულო კურსს „სამეცნიერო დისკურსი: თეორია და პრაქტიკა“, რომელიც სტუდენტებს სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობის უნარ-ჩვევებს სძენს და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო ცოდნას სძენს. „სლავური ქვეყნების მასობრივი ლიტერატურა“ წარმოდგენილია ძირითადი საგნების ჩამონათვალშია როგორც ქართულენოვან, ასევე რუსულენოვან პროგრამაში. საგნის შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია იგი გადავიდეს არჩევით კურსებში, ხოლო სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს სასწავლო კურსი ლიტერატურის კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს, წამყვან ლიტმცოდნეობით სკოლებს და მათ მეთოდოლოგიას ლიტერატურის კვლევის კუთხით. ეს დახმარებას გაუწევს სპეციალობის სტუდენტებს, სწორად შეარჩიონ კვლევის მეთოდები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას (ლიტერატურის მიმართულებით) და ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით შეძლონ სლავური ლიტერატურის ნიმუშების ანალიზი.

“სლავური ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ აკადემიურ პირებს აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლებთან და პოლონეთის უნივერსიტეტებთან. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის გაცნობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სლავური ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

და ECTS-კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და უნივერსიტეტში დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგიას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა გათვლილია სწავლების ოთხ სემესტრზე და შედგება 120 ECTS კრედიტიდან: საიდანაც 60 ECTS კრედიტი გამოყოფილია სასპეციალიზაციო სავალდებულო საგნებისთვის და 30 ECTS კრედიტი – არჩევითი საგნებისთვის. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა აძლევს მაგისტრანტს საშუალებას აირჩიოს საგნები მონათესავე პროფილის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან. პირველი სამი სემესტრი ეთმობა სასწავლო კომპონენტის ათვისებას, ხოლო მეოთხე სემესტრის 30 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო კვლევითი ნაშრომის მომზადებას.

სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა სფეროსა და მისი კვლევის თანამედროვე მიღწევების შესაბამისად არის შერჩეული. აგრეთვე აღსანიშნია, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ლოგიკურად, ითვალისწინებს მაგისტრანტებისათვის ცოდნის გადაცემას საფეხურებრივი პრინციპით, რათა ეტაპობრივად, თანმიმდევრულად, უკვე შეძენილი ცოდნის შემდგომი გაღრმავებით მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება და შედეგების მიღწევა.

სამაგისტრო პროგრამა შეიცავს სავალდებულო კურსს „სამეცნიერო დისკურსი: თეორია და პრაქტიკა“, რომელიც სტუდენტებს სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობის უნარ-ჩვევებსა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო ცოდნას სძენს. „სლავური ქვეყნების მასობრივი ლიტერატურა“ წარმოდგენილია ძირითადი საგნების ჩამონათვალშია როგორც ქართულენოვან, ასევე რუსულენოვან პროგრამაში. საგნის შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია იგი გადავიდეს არჩევით კურსებში, ხოლო სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს სასწავლო კურსი ლიტერატურის კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს, წამყვან ლიტ.მცოდნეობით სკოლებს და მათ მეთოდოლოგიას ლიტერატურის კვლევის კუთხით. ეს დახმარებას გაუწევს სპეციალობის სტუდენტებს, სწორად შეარჩიონ კვლევის მეთოდები სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას (ლიტერატურის მიმართულებით) და ლიტერატურათმცოდნეობითი მეცნიერების უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით შეძლონ სლავური ლიტერატურის ნიმუშების ანალიზი.

პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, რომელთაც მხარდაჭერას უწევდა ხარისხის სამსახური და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

“სლავური ფილოლოგიის“ რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ აკადემიურ პირებს აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლებთან და პოლონეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ქართულ-პოლონურ ურთიერთობების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში. სლავური ფილოლოგიის პროგრამით საერთაშორისო პროექტის ფარგლებში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ამერიკელი სტუდენტებისთვის. პროგრამის განმახორციელებელი პირები იღებენ აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო კვლევებში და ფორუმებში. თსუ-ს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაცია განლაგებულია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. აგრეთვე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის პროგრამის გაცნობას.

ადწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურების თანახმად. პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე. თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- პროგრამის სავალდებულო კომპონენტი 25 კრედიტი;
- სასპეციალიზაციო მოდულების სავალდებულო კურსებისათვის - 35 კრედიტი;
- არჩევითი კურსებისათვის - 30 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომისათვის - 30 კრედიტი.

პროგრამაში წარმოდგენილია ორი მოდული: „დარგობრივი თარგმანი“, რომელიც იურიდიული დოკუმენტების თარგმნის უნარ-ჩვევებს სძენს სტუდენტს და „ფართო პროფილის თარგმანი“, სადაც აქცენტი მხატვრული ტექსტების თარგმანზე, ზეპირი და წერილობითი თარგმანის სტრატეგიებზეა გადატანილი. იურიდიული პროფილის არჩევა დარგობრივი თარგმანისათვის განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დღესდღეობით გამოწვევას წარმოადგენს ამ დარგის ქართულენოვანი ტერმინოლოგია და თანამედროვე სახელმძღვანელოები და ტექსტები, რაზეც პროგრამის შემდგენელთა ყურადღება იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლებმა გაამახვილეს, ამდენად, მოდულის მსგავსი სპეციალიზაცია შეიძლება ფაკულტეტთა შორის თანამშრომლობის წარმატებულ შედეგად ჩავთვალოთ. ამასთან, საქართველოს საერთაშორისო სტანდარტებთან და კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დაახლოების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია მოცემულ სფეროში კვალიფიციური მთარგმნელების არსებობა, რომლებიც მოცულობითი იურიდიული დოკუმენტაციის გადმოტანას შეძლებენ ქართულ ენაზე. პროგრამის

ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სამომავლო სურვილია დარგობრივი თარგმანის მოდულის გამრავალფეროვნება და „სამედიცინო თარგმანის“, ან სხვა აქტუალური დარგობრივი სფეროს დოკუმენტების თარგმანის კუთხით სტუდენტების სპეციალიზაცია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს სწორი ხედვაა, რადგან ისეთი დარგობრივი სფეროების თარგმანზე ორიენტირებული მოდულები, როგორცაა ეკონომიკა, სპორტი, მედიცინა, კულტურის სფერო საგრძნობლად გაზრდის სტუდენტების დასაქმების არეალს. ამასთან, კარგი იქნება თუ დარგობრივი თარგმანის სპეციალიზაციის სტუდენტები დარგობრივი ლექსიკონის შედგენის და მასზე მუშაობის უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან, თუნდაც, საზაფხულო სკოლის ფორმატში.

„ფართო პროფილის თარგმანის“ მოდული გერმანულ და რუსულ ენებზეა ორიენტირებული. არჩევითი სასწავლო კურსები მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა „მხატვრული თარგმანის კრიტიკა“; „სამეცნიერო-პუბლიცისტური ტექსტის თარგმანა“; „ზღაპრის თარგმანი“; „საჯარო გამოსვლის სტრატეგიები“; „საბჭოთა ცენზურა და თარგმანი“; „გენდერი და თარგმანი“ და სხვა. არჩევითი საგნები ასევე მოიცავს ვიწრო პროფილურ, იურიდიულ სფეროსთან დაკავშირებულ კურსებს, მაგ.: „ადამიანის უფლებები და თავისუფლებები“; „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“; „შრომის სამართალი“. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მასში შემავალი კურსები უზრუნველყოფს სამიზნე ნიშნულების მიღწევას.

თვითშეფასების ანგარიშის, თანმხლები დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია. დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის გაცნობა შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (აკად. საბჭოს დადგენილება 24.02.2020, №16/2020);
- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მიზანშეწონილია გადაიხედოს „თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგიის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია პროგრამას დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსები, მეტი მოქნილობა შეიძინოს საგნების არჩევის სისტემამ, რათა სტუდენტებმა მოახერხონ იმ საგნის არჩევა, რომელზე დარეგისტრირებაც სურთ.
- სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი ასარჩევი საგნებისა და დამატებითი სპეციალობის შესახებ, რათა მათ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთება შეძლონ.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია არსებული სასპეციალიზაციო მოდულები თანაბრად უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას ენის დაუფლების ნაწილში, ასევე მოდულის სწავლის შედეგებში გაწერილ იქნას ენის ფლობის დონე, რათა ცხადად დადგინდეს მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) და **პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, სასწავლო კურსი „სლავური ქვეყნების მასობრივი ლიტერატურა“ გადავიდეს არჩევით კურსად, ხოლო სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს საგანი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს, წამყვან ლიტმცოდნეობით სკოლებს და მათ მეთოდოლოგიას ლიტერატურის კვლევის კუთხით.

პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია დარგობრივი თარგმანის სპეციალიზაციის სტუდენტებს ჰქონდეთ დარგობრივი ლექსიკონის შედგენის და მასზე მუშაობის უნარ-ჩვევების დაუფლების შესაძლებლობა, თუნდაც, საზაფხულო სკოლის ფორმატში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით

განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების სილაბუსების, თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსები შინაარსობრივად მრავალფეროვანია და სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის შექმნას და ტრანსფერული უნარების გამომუშავების შესაძლებლობას. ყოველი პროგრამის შემთხვევაში როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს (ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობის ნაწილში). მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსთა აბსოლუტური უმრავლესობა 5 კრედიტიანია, ვხვდებით მეტ-ნაკლებ გრადაციას საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შეფარდებაში, საგამოცდოდ გამოყოფილ დროში, და .ა.შ. რაც კურსის შინაარსითა და მიზნებითაა ნაკარნახევი. კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სილაბუსში მითითებული მასალის რაოდენობას და როგორც სტუდენტებთან ინტერვიუმ აჩვენა, ისინი ეფექტიანად ახერხებენ კურსის მსვლელობისას მასალის შესწავლას და საგამოცდოდ მომზადებას. სასწავლო კურსები წარმოადგენენ ერთ მთლიან პროგრამულ ერთეულს და ეყრდნობიან ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზას. პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემული სწავლა/სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია, კურსის შინაარსზე მორგებული და შეესაბამება ხსენებული კურსის მიზნებსა და დაგეგმილ შედეგებს. კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „სასწავლო კურსების სილაბუსები იმავდროულად არის ექსკლუზიური (თითოეული მოიცავს სპეციფიკურ საგნებს, მკვეთრად გამიჯნული შინაარსობრივი ფარგლებით) და ინკლუზიური (თავიანთი შინაარსით უკავშირდებიან ერთმანეთს და ერწყმიან პროგრამული კომპეტენციების სრული სურათის ჩამოყალიბებაში)“. დაწყვილებულ საგნებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული მოსაზრებები თარგმანის თეორიისა და თარგმანთმცოდნეობითი პრაქტიკის სამაგისტრო კურსის შემთხვევაში (იხ. პროგრამის არგუმენტაციის ნაწილი).

კლასტერული თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ: „ა) სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; ბ) სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს აქტუალურ მიღწევებს; გ) ასევე, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.“

პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი ენის ფლობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ უნარებზე კეთდება და ეს ნათლად ჩანს კლასტერში გაერთიანებულ პროგრამათა სილაბუსების უმეტესობაში: სხვადასხვა ტიპის დავალებების, მეთოდების, მასალის გამოყენებით ხდება ხსენებული უნარების შეძენა, გაღრმავება და განმტკიცება. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული უნარების დახვეწაზე ორიენტირებული კომპონენტები სილაბუსებში კარგადაა წარმოდგენილი, როგორც მიმდინარე სტუდენტთა, ასევე კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა ინტერვიუს დროს მეტი პრაქტიკული გამოცდილების მიღების სურვილი გამოთქვა, რაც, ვფიქრობთ, სასწავლო კურსებში პრაქტიკის კომპონენტის დამატებით იქნება შესაძლებელი. ამ მხრივ შედარებით ფართო ასპარეზი აქვს „თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის“ სამაგისტრო პროგრამას, მაშინ როცა რუსული ფილოლოგიისა და სლავისტიკის (განსაკუთრებით, რუსულენოვანი) პროგრამების შემთხვევაში არჩევანი, შესაძლოა, შეზღუდული იყოს, მაგრამ პრაქტიკა ის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც სტუდენტის მიერ სასწავლო კურსების დროს შეძენილ ყველა პრაქტიკულ თუ ტრანსფერულ უნარს თავს უყრის და გამოცდის, ამდენად, მიზანშეწონილია, პოტენციურ დამსაქმებლებთან ერთად მოხდეს ამ საკითხის განხილვა და პროგრამაში ხსენებული კომპონენტის დამატება.

უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოების საკითხი პრობლემურია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების, ძირითადად კი რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამების (ქართულენოვანი, რუსულენოვანი) და სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამების (ქართულენოვანი, რუსულენოვანი) შემთხვევაში. რიგ სილაბუსებში ვხვდებით მოძველებულ სახელმძღვანელოებს, სილაბუსებში მითითებული შედარებით ახალი ლიტერატურა კი ვერ იქნა მოძიებული ვიზიტის დროს ვერც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ვერც ელექტრონულ ბაზებში. პრობლემის სათავე ობიექტურია, და გამომდინარეობს იმ მიზეზიდან, რომ დღესდღეობით სრულიად გაწყვეტილია კავშირი რუსულ გამომცემლობებთან და უნივერსიტეტებთან, შესაბამისად, უნივერსიტეტი ოფიციალური პროტოკოლის მიხედვით ვერ განახორციელებს ამ ლიტერატურის შესყიდვას. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, ლექტორები იძენენ საკუთარი საგნისთვის საჭირო ლიტერატურას და შემდეგ უზიარებენ სტუდენტებს მასალას. მსგავს მეთოდს მრავალი უხერხულობა ახლავს თან, ამიტომ მისასაღებელია ადმინისტრაციისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინიციატივა, რომ იმუშავონ სახელმძღვანელოების მომზადებაზე, თუმცა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთული გრაფიკის გათვალისწინებით პროცესი ჯერჯერობით არ დასრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები მაღლობას გამოთქვამენ ლექტორ-მასწავლებლების მიმართ მასალების მიწოდების გამო, რომელთა შორის რარიტეტული ლიტერატურაცაა, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ პრობლემას ისინიც ხაზგასმით აღნიშნავენ, მაგ.: სასემინარო მასალის დაგვიანებით ატვირთვის შემთხვევები, ლექციის დაკონსპექტების მოთხოვნა, და სხვა. სასურველია, სალექციო კურსებში უფრო ინტენსიურად იყოს გამოყენებული ელექტრონული რესურსები, მოხდეს ლექტორ-მასწავლებლების კუთვნილი ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადატანა, ან ქსეროასლების დამზადება, გამოყენებული იქნას უნივერსიტეტის სამეცნიერო

ბაზები, სხვადასხვა პერიოდიკა, აუდიო-ვიდეო რესურსები ინტერნეტიდან, რაც სტუდენტებს უახლეს მასალასთან გაცნობის საშუალებას მისცემს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

თსუ-ის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოცემული სავალდებულო სასწავლო კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები უმეტესად შესაბამისია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან. კურსების კრედიტების გადანაწილება, უმეტესწილად, მოცემულია კურსის შინაარსისა და მიზნების გათვალისწინებით.

პროგრამის ფარგლებში კურსების კრედიტების გადანაწილება უნიფიცირებულია. ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს - 5 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება საკონტაქტო სამუშაოზე - ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფები, შუალედური და დასკვნითი გამოცდები, და სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე.

რიგ შემთხვევაში თავს იჩენს ერთგვარი შეუსაბამობა პროგრამის შედეგებსა და სასწავლო კურსების შინაარსს შორის. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროთა შორის სავსებით ლოგიკურად მოიაზრება თარჯიმნის პოზიცია დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში, სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში, კულტურის სფეროს დაწესებულებებში. თუმცა პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული სასწავლო კურსი „რუსული ენიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ (30 სალექციო, 15 სასემინარო მეცადინეობა) სტუდენტებს მთარგმნელობითი საქმიანობისთვის აუცილებელ და საკმარის უნარ-ჩვევებს ვერ გამოუმუშავებს. მითუფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სასწავლო კურსი მხოლოდ რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნის სწავლებას ისახავს მიზნად.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა რიგ საგნებში მოძველებულია - რუსული ლიტერატურის ისტორია 1, თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (სინტაქსი), რუსული ლიტერატურის ისტორია, რუსული და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკა; ამას გარდა, გადასახედია რიგ სილაბუსებში მითითებული ინტერნეტ-რესურსების ბმულები (gumer.info, Wikipedia და სხვ.). მითითებულ ბმულებზე გადასვლისას უნდა იხსენებოდეს არა საწყისი გვერდი, არამედ კონკრეტულად სტუდენტისათვის საჭირო მასალა, ამასთან მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას აკადემიური წყაროები. თუმცა, ინტერვიუებზე როგორც თავად აკადემიურმა პერსონალმა, ისე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ყველა საჭირო მასალას და თანამედროვე ლიტერატურას ნათარგმნი რიდერების სახით აწვდიან მატერიალურად ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ასევე, პროგრამის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია/სილაბუსი. თუმცა, მისი შესრულებისა და დაცვის მექანიზმები, ციტირების წესის აღწერილობა და სხვ. მოცემულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი (დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 28.01.11. ცვლილებები შეტანილია 29.05.2013-ისა და 04.10.2022 ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შინაარსი და შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს ლინგვისტურ, ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვოკულტუროლოგიური თემატიკის სფეროში. პრაქტიკული და თეორიული ხასიათის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი სილაბუსებით და კურიკულუმის რუკით.

გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებს შორის თანაფარდობა საკმარისია სილაბუსებში მითითებული მიზნების მისაღწევად, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას. კერძოდ, აბსოლუტურად ყველა საგნის ასათვისებლად გამოყოფილია ხუთ-ხუთი კრედიტი, განსხვავება მხოლოდ სააუდიტორიო საათების რაოდენობაშია: საფაკულტეტო ხუთკრედიტიანი საგნებისთვის შეფარდება არის 45 სთ (საკონტაქტო) - 80 სთ (დამოუკიდებელი); სპეციალობის სავალდებულო ხუთკრედიტიანი კურსების შემთხვევაში კი ეს შეფარდება იცვლება: 60 სთ (საკონტაქტო) - 65 სთ (დამოუკიდებელი).

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება სწავლის სფეროს ახალ მიღწევებს და მოიცავს თანამედროვე კვლევებს შესაბამის სფეროში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და საერთო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას (სლავური ფილოლოგიის შესავალი, თარგმნის თეორიის საფუძვლები, თანამედროვე რუსული ენის მორფოლოგია, რუსული ენის ფუნქციონალური გრამატიკის საფუძვლები).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუმ გამოავლინა კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების სურვილი გაიზარდოს პრაქტიკული საათების რაოდენობა, წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მეტი განვითარება მოეთხოვება თითქმის ყველა მომუშავე კურსდამთავრებულს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში არის მთელი რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც ავითარებენ ამ უნარს (აკადემიური წერა, რუსული მეტყველების კულტურა და სხვ.), საგნების ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია თეორიული ცოდნის მიღებაზე, რაც საბაკალავრო პროგრამის დონეზე ნაკლებად არის მისასალმებელი. სამეტყველო კომუნიკაციისა და სოციალური უნარების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამაში ჩაშენდეს სამეტყველო პრაქტიკა, რომლის ორგანიზება არ იქნება რთული წარმოდგენილი უამრავი თანამშრომლობის მემორანდუმების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

ოსუ-ის სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოცემული სავალდებულო სასწავლო კურსები, მათში ასახული შედეგების გათვალისწინებით, ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსების შედეგები უმეტესად შესაბამისია საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებთან. კურსების კრედიტების გადანაწილება, უმეტესწილად, მოცემულია კურსის შინაარსის გათვალისწინებით.

კურსების კრედიტების გადანაწილება უნიფიცირებულია. ყველა სასწავლო კურსს მინიჭებული აქვს - 5 ECTS კრედიტი, რაც ნაწილდება ლექციაზე, სამუშაო ჯგუფებზე, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე (საკონტაქტო), დამოუკიდებელი მუშაობაზე. რიგ შემთხვევაში თავს იჩენს შეუსაბამობა პროგრამის შედეგებსა და სასწავლო კურსების შინაარსს შორის, შესაბამისი რეკომენდაციები იხ. 1.2; 1.4 კომპონენტებში.

სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა რიგ საგნებში მოძველებულია - სლავური ქრისტიანული კულტურა - ასახვა ლიტერატურაში, განათლებაში, ტაძრის მშენებლობაში (X-XVIII სს.); რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის ანალიზის პრინციპები და მეთოდები; ამას გარდა, გადასახედია რიგ სილაბუსებში მითითებული ინტერნეტ-რესურსების ბმულები (<https://www.dissercat.com>, <https://studentguide.ru>, <https://www.gumer.info>. და სხვ.). მითითებულ ბმულებზე გადასვლის შემთხვევაში უნდა იხსნებოდეს არა საწყისი გვერდი, არამედ კონკრეტულად სტუდენტისათვის საჭირო მასალა. აგრეთვე, ცალკეულ სილაბუსში მოყვანილი მეთოდები ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას (მაგალითად, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების შესასწავლად ავტორი არ იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორც არის ესსე, რეფერატი, ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია).

ინტერვიუებზე აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ყველა საჭირო მასალას და თანამედროვე ლიტერატურას ნათარგმნი სახით აწვდიან მატერიალური სახით ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროგრამის ფარგლებში არ არის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია/სილაბუსი. თუმცა, მისი შესრულებისა და დაცვის მექანიზმები, ციტირების წესის ინსტრუქციები და სხვ მოცემულია ოსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი (დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 28.01.2011, ცვლილებები შეტანილია 04.10.2022 ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სლავური ფილოლოგიის“ (რუსულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შინაარსი და შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

პროგრამის სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათებს შორის თანაფარდობა საკმარისია თეორიული ხასიათის საგნების სილაბუსებში

მითითებული მიზნების მისაღწევად, თუმცა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული კურსებში სასურველია ამ შეფარდების შეცვლა. ასე, მაგალითად, პოლონური და უკრაინული ენების ორი ხუთკრედიტიანი ინტენსიური კურსის ფარგლებში 60 საათიდან 30 სთ ეთმობა ლექციას, 30 კი - პრაქტიკულ მეცადინეობას, რაც ენის ათვისებისას ნაკლებად არის მისაღები. ყველა სასწავლო კურსის ასათვისებლად გამოყოფილია ხუთი კრედიტი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ნაკლებად არის გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა (მაგალითად, თუ ლინგვისტური მოძღვრებათა ისტორიაში გამართლებულია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების შეფარდება: 30 სთ ლექცია და 15 პრაქტიკული; რუსული ბიზნესკომუნიკაციის სწავლებისას, რომლის ძირითადი მიზანია საქმიანი კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბება, სასურველია პრაქტიკული საათების გაზრდა).

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად შეესაბამება სწავლის სფეროს ახალ მიღწევებს და მოიცავს თანამედროვე კვლევებს შესაბამის სფეროში. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და საერთო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას (თარგმანის პრაქტიკული კურსები, რუსული ენის ფუნქციონალური გრამატიკის საფუძვლები). აგრეთვე, ცალკეულ სილაბუსში მოყვანილი მეთოდები ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას (მაგალითად, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების შესასწავლად ავტორი არ იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორც არის ესე, რეფერატი, ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები შედგენილია თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმში ასახულია ის ცვლილებები და სიახლეები, რაც თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამაში შევიდა, აქვე სახელდება განხორციელებული ცვლილებების მიზეზები, როგორცაა მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება, ბაზრის მოთხოვნები. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები ემსახურება მის გაძლიერებას თარგმანის თეორიების, თარგმანის კვლევის მეთოდების და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში (კვლევაში, პრაქტიკულ თარგმანში) გამოყენების კუთხით. აქვე საუბარია ახალ კურსებზე, რომელთა შემოტანაც მეტ სიღრმესა და ინტერესს სძენს პროგრამას. სილაბუსებთან გაცნობის შედეგად ასეთი კურსის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ არჩევითი კურსი „თარგმანი და გენდერი“ - როგორც სასწავლო კურსის სილაბუსმა, ასევე საგნის განმახორციელებელთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სტუდენტები ამ კურსის შესწავლისას თარგმანის

თეორიის საინტერესო და აქტუალურ მიმართულებას გაეცნობიან. საგნის განმახორციელებელი წარმატებული მთარგმნელია და პრაქტიკული მუშაობის დროს ემპირიულ მასალად თავისი თარგმანების ფრაგმენტების დამუშავებას აპირებს სტუდენტებთან ერთად. ვფიქრობთ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა და ამ გზით ლექტორი ერთგვარ მასტერკლასს სთავაზობს სტუდენტებს. ასევე საინტერესო და დინამიკურ სახეს ატარებს ემპირიულ მასალაზე მუშაობა საგანში „პრაქტიკული იურიდიული თარგმანი“. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თარგმნის სხვადასხვა უნარ-ჩვევის პრაქტიკული სავარჯიშოები თითქმის ყველა სილაბუსშია შეტანილი მიმდინარე შეფასების თუ გამოცდის ნაწილად, მაგრამ სტუდენტების სურვილია, რომ პროგრამაში ცალკე იყოს წარმოდგენილი პრაქტიკის კომპონენტი, რაც სავსებით ლოგიკურია, რადგან მსგავსი აქტივობა მათ საშუალებას მისცემთ ე.წ. საველე პირობებში გამოცადონ საკუთარი უნარ-ჩვევები.

სასურველია პროგრამას დაემატოს რამდენიმე არჩევითი კურსი, რომელიც მას კიდევ უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს გახდის: მაგალითად, არჩევითი კურსი მსოფლიო ლიტერატურის კანონის რომელიმე ნიმუშის რუსულ და ქართულენოვანი თარგმანების შეპირისპირება-შედარების კუთხით. რამდენადაც ფართო პროფილის თარგმანის მოდული რუსულ და გერმანულ ენებზეა ორიენტირებული, იდეალურ ვარიანტად გვესახება თომას მანის რომელიმე ნაწარმოების (მაგ.: „ბუდენბროკები“, „ჯადოსნური მთა“) რუსული და ქართული თარგმანის (რომელიც ორივე ენაზე შესანიშნავადაა შესრულებული) შეპირისპირებითი ანალიზი. პროგრამაში ასევე შეიძლება არჩევითი კურსის სახით შევიდეს მსოფლიო ლიტერატურის კანონის ნიმუშთა ორი, ან მეტი ქართული თარგმანის შედარებითი ანალიზი. (ამ მხრივ ძალიან საინტერესო მასალას წარმოადგენს შექსპირის დრამატურგია, სადაც უკვე გვაქვს სხვადასხვა ეპოქებში (მე-19 საუკუნე, საბჭოთა პერიოდი, პოსტსაბჭოთა პერიოდი) შესრულებული თარგმანები, ან გოეთეს „ფაუსტი“).

სილაბუსებისა და პროგრამის რუკების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამების სილაბუსების შინაარსი კავშირშია კურსის მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებთან. ძირითადი და არჩევითი კურსები ორგანულად ავსებს ერთმანეთს და სტუდენტს მრავალმხრივი ცოდნით უზრუნველყოფს თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სფეროში.

კრედიტმოცულობის განაწილება ლოგიკურია და შეესატყვისება პროგრამის სპეციფიკას. ინტერვიუების თანახმად, სტუდენტები გონივრულ ვადებში ახერხებენ მასალის დამუშავებას და შესწავლას. სილაბუსებში მითითებული გამოცდების ხანგრძლივობა საკმარისია მათი ცოდნის სრულყოფილი დემონსტრირებისთვის.

სილაბუსში მითითებულ ლიტერატურას თან ახლავს ზუსტი გვერდების ნუსხა. ცალკეულ შემთხვევაში წიგნის მითითებული გვერდები არ ემთხვევა შესაბამის თემას, ან სრულყოფილად ვერ მოიცავს მას (მაგ.: „თარგმანთმცოდნეობის კვლევის მეთოდები“, სადაც მეორე კვირის თემა - თარგმანთმცოდნეობის გავრცელებული მეთოდები და თეორიები (ბიოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული, ჰერმენევტიკული, შედარებითი, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, სემიოტიკური, რეცეფციული) - მხოლოდ

ნაწილობრივად გაშუქებული მასალად მითითებული წიგნის თავში, რომელიც გაცილებით ზოგადი ხასიათისაა და საუბრობს თარგმანზე, როგორც ლიტ. ურთიერთობის ფორმაზე, თარგმნის სტრატეგიებზე; მხატვრული თარგმანის ალგორითმზე, თარგმანთმცოდნეობის ინტერდისციპლინარულობაზე, პარალელურ თარგმანზე, თარგმანის მეორეულობაზე, პჭკარედულ, სიტყვასიტყვით, თავისუფალ თარგმანზე, თარგმანის ხარისხზე, ავტოთარგმანზე, თარგმანის პირობითობაზე, მხატვრული ტექსტის თარგმნამდე ანალიზზე, ეროვნული და ისტორიული კოლორიტის გადმოცემაზე თარგმანში, რეალიების გადატანის ხერხებზე, და სხვა. „ზეპირი თარგმანის სტრატეგიებში“ მითითებული სახელმძღვანელოს P. Миньяр-Белоручев, Какстатьепереводчиком,Готика, Москва :1999 გვერდები არ შეესაბამება თემატურ მასალას, მაგრამ როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, ამ წიგნის რამდენიმე რედაქცია არსებობს და შესაძლოა, ცდომილება ამით იყოს გამოწვეული). სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა მეტწილად თანამედროვეა და ძირითადად შეესაბამება კურსის შინაარსსა და მიზნებს, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება საჭიროებდეს გადახედვას, მაგალითად, სასწავლო კურსში „ქართული იურიდიული დოკუმენტების ენა“ ძირითადი სახელმძღვანელოების შემდეგ ჩამონათვალს ვხვდებით: „1. ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004. 2. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1986. 3. თ. სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1999. 4. თ. სანიკიძე, ი.სანიკიძე, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2009. 5. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VII, თბ., 1984. 6. ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი [მეორე შევსებული გამოცემა], გამომც. „განათლება“, თბილისი, 1998.“ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, კურსის სახელწოდებიდან, შინაარსიდან, მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სილაბუსში უნდა შედიოდეს თუნდაც ერთი სახელმძღვანელო, რომელშიც თანამედროვე ქართულენოვანი იურიდიული ტერმინოლოგია იქნება მიმოხილული. მსგავსი სახელმძღვანელოს არარსებობის შემთხვევაში, სასურველია, ლექტორმა თავად შეადგინოს სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია/რიდერი.

პროგრამაში წარმოდგენილია რიგი საგნები, რომლებიც პარალელურად იკითხება ინგლისურენოვანი/რუსულენოვანი/გერმანულენოვანი სტუდენტებისთვის, მაგ.: „გერმანული ენა 1/რუსული ენა 1“; „გერმანული ენა 2/რუსული ენა 2“; „თარგმანის პრაქტიკული კურსი 1 (გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმნა/რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმნა); „თარგმანის პრაქტიკული კურსი 2 (გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმნა/რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმნა)“; „ზეპირი თარგმანის სტრატეგიები 1 (გერმანული/რუსული)“; „ზეპირი თარგმანის სტრატეგიები 2 (გერმანული/რუსული)“; „წერიტი თარგმანის სტრატეგიები (გერმანული/რუსული)“; „სამეცნიერო-პუბლიცისტური ტექსტის თარგმანის პრაქტიკული კურსი (ინგლისურ-ქართული)“/„სამეცნიერო-პუბლიცისტური ტექსტის თარგმანის პრაქტიკული კურსი (გერმანულ-ქართული)“/„სამეცნიერო-პუბლიცისტური ტექსტის თარგმანის პრაქტიკული კურსი (რუსულ-ქართული)“ და სხვა. ხშირ შემთხვევაში, მსგავს დაწყვილებულ საგანთა შეფასების სისტემა სინქრონიზებულია, რაც

პროგრამის ღირსებად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა საჭიროა მეტი უნიფიცირება შინაარსობრივი კუთხით (ბუნებრივია, გამოყენებული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით). მაგალითად, სასწავლო კურსში „რუსული ენა 1, რუსული ენა 2“ აქცენტი გადატანილია რუსული ენის გრამატიკაზე. კურსის შინაარსი და სახელმძღვანელოები მთლიანად ეთმობა მორფოლოგია/სინტაქსის სწავლებას, რაც არ შეესაბამება CEFR-ის (ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს) პარამეტრებს, რომელთა თანახმადაც უცხო ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვითარდება ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, მოსმენა და კითხვა. პარალელური სასწავლო კურსი „გერმანული ენა 2/რუსული ენა 2“ ეყრდნობა სარეკომენდაციო ჩარჩოს პარამეტრებს და კურსის შინაარსი და შერჩეული სახელმძღვანელო სწორედ ხსენებულ კომპეტენციათა განვითარებაზეა მიმართული. ინტერვიუს დროს განმახორციელებელი პერსონალის მიერ მოყვანილ იქნა არგუმენტი, რომ მსგავსი მიდგომა „რუსული ენა 1, რუსული ენა 2“- ის შემთხვევაში ენის სპეციფიკით და მსგავსი სწავლების დადებითი შედეგის გამოცდილებით იყო ნაკარნახევი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია გრამატიკის კარგი ცოდნა მომავალი მთარგმნელისათვის, მას აუცილებლად სჭირდება ძირითად ენობრივ კომპეტენციათა ჰარმონიული და დაბალანსებული განვითარება ნებისმიერი ენის შემთხვევაში.

მსგავსი მაგალითია კურსი: „თარგმანის პრაქტიკული კურსი 1 (გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმან/რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმან): „თარგმანის პრაქტიკული კურსი 1 (რუსულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმან)“ მხოლოდ პოეზიის ნიმუშთა თარგმანს ეთმობა, ხოლო სასწავლო კურსი „თარგმანის პრაქტიკული კურსი 1 (გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმან)“ უცხოელთათვის განკუთვნილი გერმანული ენის სახელმძღვანელოდან (Heinz Griesbach, Dora Schulz (2001): Deutsche Sprache für Ausländer. Ismaning: Max Hueber Verlag) ამონარიდებს იყენებს ავთენტური ადაპტირებული ტექსტების გლობალური და სელექციური რეცეფციის უნარ-ჩვევისა და ტექსტის თარგმანის სტრატეგიების საბაზისო უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად; იმავე კურსის მეორე ნაწილში უკვე თანხვედრა არსებობს, რადგან ორივე შემთხვევაში არაადაპტირებული პროზის თარგმანის უნარ-ჩვევების შექმნა ხდება. აღსანიშნავია, რომ „თარგმანის პრაქტიკული კურსი 2 (გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტის თარგმან)“ კურსში მითითებული ელექტრონული ბმულების ნაწილი არ იხსნება, მაგრამ საგნის განმახორციელებელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის ეს ტექსტები ელექტრონულად იტვირთება მუდღეში და მასალის მიწოდების პრობლემა არ დგას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- მისაღები ტექსტების ნიმუშები უცხო ენაში;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა (აკად. საბჭოს დადგენილება 24.02.2020, №16/2020);
- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში პრაქტიკის კომპონენტის დამატება, რაც სტუდენტებს პროგრამის შესწავლისას შეძენილი ცოდნის, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების, ავტონომიურობის დემონსტრირებისა და ფასეული პრაქტიკული გამოცდილების მიღების საშუალებას მისცემს
- რეკომენდირებულია, გადაიხედოს და განახლდეს სახელმძღვანელოთა ნაწილი, ჩანაცვლდეს მოძველებული სახელმძღვანელოები, ზოგ შემთხვევაში კი დაემატოს სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ იქნება მორგებული კურსის სპეციფიკას, გადამოწმდეს ყველა იმ ელექტრონული ბმულის ვალიდურობა, რომელიც სილაბუსებშია წარმოდგენილი.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სალექციო კურსებში ელექტრონული რესურსების მეტად ინტენსიური გამოყენება, ლექტორ-მასწავლებლების კუთვნილი ლიტერატურის ციფრულ ფორმატში გადატანა, ან ქსეროასლების დამზადება, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზების სრულად ათვისება, სხვადასხვა პერიოდული გამოცემებით, ინტერნეტ აუდიო-ვიდეო რესურსებით სარგებლობა, რაც სტუდენტებს უახლეს მასალასთან გაცნობის საშუალებას მისცემს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- მიზანშეწონილია „რუსული ენიდან ქართულად თარგმნის თეორია და პრაქტიკა“ სასწავლო კურსის სილაბუსი გამდიდრდეს სტუდენტების მთარგმნელობითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების მეთოდოლოგია და შინაარსით.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამაში სამეტყველო კომუნიკაციისა და სოციალური უნარების გაუმჯობესების მიზნით სასურველია ჩაშენდეს სამეტყველო პრაქტიკა.
- „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამაში სასურველია კრედიტების განაწილებისა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრის პროცესში მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა), **პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო კურსი გამრავალფეროვნდეს სწავლის მეთოდებით, როგორცაა ესსე, რეფერატი, ჩატარებული კვლევის პრეზენტაცია, სილაბუსში დასახული მიზნების მისაღწევად.

რჩევ(ებ)ი:

- „სლავური ფილოლოგიის“ რუსულენოვანი სამაგისტრო პროგრამაში სასურველია კრედიტების განაწილებისა და სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების განსაზღვრის პროცესში მეტად იყოს გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა, უფრო მრავალფეროვანი გახდეს სწავლა/სწავლების მეთოდები.

პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, რომ სტუდენტებმა, რომლებიც დარგობრივი თარგმანის მოდულს შეისწავლიან, შეიძინონ საბაზისო ლექსიკოგრაფიული უნარ-ჩვევები, როგორცაა დარგობრივ ლექსიკონზე მუშაობა, დარგობრივი ლექსიკონის შედგენა (საზაფხულო სკოლის, ან რაიმე სხვა ექსტრა-კურიკულარული აქტივობის ფორმატში).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში შემავალ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ითვალისწინებს უნივერსიტეტში მოქმედ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსაც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ მობილობით სარგებლობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები კლასტერში დაჯგუფებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ლოგიკურია, გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯარო. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების წინაპირობების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ინფორმაციის გავრცელება ხდება სოციალური ქსელების საშუალებითაც. დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტებს მიეწოდებათ ღია კარის დღეებსა და საინფორმაციო შეხვედრებზე. უსდ-ს განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია. საბაკალავრო პროგრამებზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება ერთიანი საფაკულტეტო მიღების მიდგომით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო საფეხური), პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო საფეხური)

რუსული ფილოლოგიის ქართულ და რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობაა: საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიღების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თსუ-ს სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამებზე მოხილობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

რუსული ფილოლოგიის ქართულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული და შესაბამისად, სასწავლო კურსები სწორედ ამ ენაზე იკითხება, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მათში ხშირადაა ინტეგრირებული უცხოენოვანი კომპონენტები (ტექსტები, სასწავლო მასალები, ა.შ.), რაც ამრავალფეროვნებს პროგრამის შინაარსს და უზრუნველყოფს პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის/უნარების განვითარებას.

რუსული ფილოლოგიის რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ენა არის რუსული, თუმცა თსუ-ს საიტზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა: ზოგადი ინფორმაციის ველში სწავლების ენად მითითებულია ქართული, მაშინ, როცა ამავე საიტზე ატვირთული პროგრამა, ისევე, როგორც თვითშეფასების ანგარიში, ექსპერტებთან წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი და სილაბუსები სწავლების ენად უთითებს რუსულს. რამდენადაც პროგრამა რუსულენოვანია, სასწავლო კურსები სწორედ ამ ენაზე იკითხება. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, იგივე ეხება ზოგად საფაკულტეტო საგნებს, რომელთაც სტუდენტები მოცემულ პროგრამაზე სწავლისას ეუფლებიან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო საფეხური), **პროგრამა 4** (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო საფეხური)

სლავური ფილოლოგიის ქართულ და რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და შიდასაუნივერსიტეტო შესარჩევი გამოცდების წარმატებით გავლა. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე, შიდა შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს სწავლის ფართო სფეროებში: ა) ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; ბ) სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; გ) განათლება; დ) ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი. პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა რუსულ ფილოლოგიაში.

ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კანდიდატმა უნდა გაიაროს შიდა შესარჩევი კონკურსი ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენაში უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონის ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის ან ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი შიდა საუნივერსიტეტო და სპეციალობის გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო ენობრივ ტესტებთან გაცნობის შემდეგ, ექსპერტები ადასტურებენ მათ შესაბამისობას ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ B2 დონის ენობრივ კომპეტენციასთან. უნივერსიტეტის საიტზე განთავსებულია სპეციალობის მისაღები გამოცდების საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურის და კონსულტაციისათვის გამოყოფილ პირთა მითითებით. სასპეციალიზაციო გამოცდის სტრუქტურა, თემატიკა და ლიტერატურა იდენტურია ქართულ და რუსულენოვან პროგრამათა შემთხვევაში. საკითხების ჩამონათვალში თანაბრადაა წარმოდგენილი როგორც რუსული ენის, ასევე ლიტერატურის საკვანძო თემატიკა.

სლავური ფილოლოგიის ქართულენოვან და რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების ენა განსხვავდება, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ქართულენოვან პროგრამაშიც ხშირადაა ინტეგრირებული უცხოენოვანი კომპონენტები (ტექსტები, სასწავლო მასალები, ა.შ.), რაც პროგრამის შინაარსის მრავალფეროვნებასა და სამიზნე პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის/უნარების უკეთ განვითარებას უზრუნველყოფს. რაც შეეხება რუსულენოვან პროგრამას, აქ სწავლების ენა რუსულია და შესაბამისად, სასწავლო კურსებიც ამ ენაზე იკითხება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო საფეხური)

თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი სამაგისტრო გამოცდისა და შიდასაუნივერსიტეტო შესარჩევი გამოცდების წარმატებით გავლა. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აგრეთვე, შიდა შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს რომელიმე შემდეგი მიმართულებით: განათლების მეცნიერება (0111); ინგლისური ფილოლოგია (0231.1.2); გერმანული ფილოლოგია (0231.1.3); რუსული ფილოლოგია (0231.1.4); ქართული ფილოლოგია (0232.1.1); ფილოლოგია(0232.1.3); კულტურის კვლევები (0314.1.4); ჟურნალისტიკა (0321.1.1); მასობრივი კომუნიკაცია (0321.1.2); საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა (0322); ევროპისმცოდნეობა (0388.1.1); ამერიკისმცოდნეობა (0388.1.2) რომელიმე შემდეგი მიმართულებით: განათლების მეცნიერება (0111); ინგლისური ფილოლოგია (0231.1.2); გერმანული ფილოლოგია (0231.1.3); რუსული ფილოლოგია (0231.1.4); ქართული ფილოლოგია (0232.1.1); ფილოლოგია(0232.1.3); კულტურის

კვლევები (0314.1.4); ჟურნალისტიკა (0321.1.1); მასობრივი კომუნიკაცია (0321.1.2); საბიბლიოთეკო, საარქივო კვლევები და ინფორმაციის მართვა (0322); ევროპისმცოდნეობა (0388.1.1); ამერიკისმცოდნეობა (0388.1.2)

ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემდეგ კანდიდატმა უნდა გაიაროს შიდა შესარჩევი კონკურსი ინგლისურ/გერმანულ ენაში უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B2 დონის ენის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენის ან ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი შიდა საუნივერსიტეტო და სპეციალობის გამოცდების საფუძველზე. ენობრივი გამოცდის შიდასაუნივერსიტეტო ტესტი შესაბამისობაშია CEFR-ით განსაზღვრულ B2 ენობრივი დონის კომპეტენციასთან. სტუდენტებს შეუძლიათ, თსუ-ს საიტზე გაეცნონ სპეციალობის მისაღები გამოცდის ფორმატს, საკითხთა ჩამონათვალს, შესაბამის ლიტერატურასა და კონსულტაციის განმახორციელებელი პირის ვინაობას. საგამოცდო ბილეთი შედგება 4 საკითხისაგან და მოწმდება კონკურსანტის მიერ საბაზო ტერმინების ცოდნა (30 ქულა); საბაზო თეორიული საკითხების ცოდნა (ორი საკითხი, თითოეული ფასდება 20 ქულით, ჯამში - 40 ქულა); ანალიტიკური წერის (30 ქულა) მეშვეობით კი მოწმდება კონკურსანტის ლოგიკური და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ვთვლით, რომ სასპეციალიზაციო გამოცდის მსგავსი სტრუქტურა საუკეთესო აპლიკანტთა შერჩევის საშუალებას იძლევა. პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული და შესაბამისად, სასწავლო კურსები ძირითად იკითხება ქართულად, თუმცა, ლამის ყოველ მათგანში ინტეგრირებული უცხოენოვანი კომპონენტები (ტექსტები, სასწავლო მასალები, ა.შ.), რაც სავსებით ლოგიკურია და თანხვედრაშია პროგრამის სპეციფიკასთან, მიზნებთან და სასწავლო კურსის შინაარსთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- მისაღები ტესტების ნიმუშები უცხო ენაში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

- სასურველია გასწორდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არსებული ტექნიკური ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ნაწილში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები				
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, პროგრამების, სილაბუსების, ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუთა შედეგების შესწავლამ ნათლად აჩვენა, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების ხელმძღვანელები და განმახორციელებლები აცნობიერებენ პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი თუ ზოგად ტრანსფერული კომპეტენციების გაძლიერების საჭიროებას, იქნება ეს იქნება ეს „ლოგიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თუ ზეპირი და წერიტი გამოხატვის უნარები, ანალიტიკური უნარები, გუნდური მუშაობის უნარები და ციფრული წიგნიერება, უცხო ენების (განსაკუთრებით, ინგლისურის) ცოდნის ამაღლება.“ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ეს გაზრდის მოცემული პროფილის პროგრამებზე სწავლის მსურველთა რაოდენობას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია რუსული ფილოლოგიისა და სლავისტიკის პროგრამებთან მიმართებით.

კლასტერში გაერთიანებული ხუთივე პროგრამა გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ენის ფლობის პრაქტიკულ უნარებს. სილაბუსებში წარმოდგენილია ამ უნარების განმავითარებელი სხვადასხვა ტიპის დავალება, მეთოდი, მასალა. ამისდა მიუხედავად, სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა პრაქტიკის კურსის დამატებას მათ პროგრამაში. (დეტალურად იხ.: 1.5 კომპონენტი.)

კვლევითი უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სავალდებულო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სტუდენტის მიერ. საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) მომზადებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს *რუსული ფილოლოგიის ქართულენოვანი და რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამის* სტუდენტები აკადემიური წერის კურსის შესწავლის შედეგად იძენენ, რომელიც ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო კურსებში შედის, რასაც თან ერთვის რეფერატები, რომელთა მომზადებაც რიგი კურსების შესწავლისას უწევთ. საბაკალავრო ნაშრომი სწავლის დასკვნით ეტაპზე იწერება და სტუდენტს შეძენილი ცოდნის, კვლევის, კრიტიკული აზროვნების, ავტონომიურობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების დემონსტრირების საშუალებას აძლევს. *სლავისტიკის ქართულენოვან და რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამებში* კვლევითი უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული სასწავლო კურსი „სამეცნიერო დისკურსი: თეორია და პრაქტიკა“ და ის რეფერატები, რომელთაც სტუდენტები სხვადასხვა კურსის შესწავლისას ამზადებენ. სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით სრულდება, სტუდენტის აკადემიური დარგობრივი ინტერესების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს მაგისტრანტებში სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბებას, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. ვიზიტის დროს განხორციელებულ შეხვედრებზე როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ საკვლევი თემების ხელმძღვანელთა კომპეტენციას და მათ დახმარებას კვლევითი უნარების ჩამოყალიბების საქმეში. *თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამაში* კვლევითი კომპონენტის უმნიშვნელოვანეს წილს ასევე სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) წარმოადგენს, რომელიც სტუდენტს

სამაგისტრო პროგრამის მიმდინარეობისას შეძენილი სამეცნიერო-კვლევითი, ანალიტიკური, შემოქმედებითი უნარებისა და ავტონომიურობის შემაჯამებელ დემონსტრირებას ახდენს. სასწავლო კურსი „თარგმანთმცოდნეობის კვლევის მეთოდები“ და სხვადასხვა კურსის მსვლელობისას შესრულებული რეფერატები სტუდენტებს ცოდნისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების დახვეწაში უწყობს ხელს და სამაგისტრო ნაშრომზე წარმატებული მუშაობის საფუძველს ქმნის. პროგრამაში აკადემიური წერის კურსის არარსებობის შესახებ დასმულ შეკითხვაზე ხელმძღვანელმა გვიპასუხა, რომ კვლევითი კომპონენტი პროგრამის ლამის ყველა სასწავლო კურსშია ინტეგრირებული რეფერატების სახით, რომლებზე მუშაობის დროსაც სტუდენტები ეცნობიან სამეცნიერო ტექსტის აგების სპეციფიკას, ციტირების წესს და შესაბამისად, მსგავსი კურსის არარსებობა გამოწვევას არ წარმოადგენს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების კუთხით.

თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, „კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ყოველწლიურად განხორციელებულ სხვადასხვა ტიპის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც საკუთარი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისა თუ ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი უნარების დემონსტრირების საშუალება ეძლევათ, ასევე გამოაქვეყნონ სტუდენტური სამეცნიერო შრომები ფაკულტეტის სტუდენტურ ჟურნალებში.“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ვხვდებით თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ს/ს ინსტიტუტის, სლავისტიკის ს/ს ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო თუ ადგილობრივი სიმპოზიუმების, კონფერენციების, გამოცემული კრებულების ჩამონათვალს. ცხადია, რომ მსგავს ღონისძიებებზე დასწრება და მათში მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებას, თუმცა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად არაერთგვაროვანი სურათი მივიღეთ. მათი ნაწილი ამ მხრივ ინფორმაციის ნაკლებობას შეეხო, თუმცა ნაწილმა ხაზი გაუსვა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერას (იშვიათი ლიტერატურით უზრუნველყოფა, სამეცნიერო კონსულტაცია და ერთ შემთხვევაში, ფინანსური დახმარებაც კი) სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ კურსდამთავრებულთა და მიმდინარე სტუდენტთა პასუხების შედარება ამ პროცესის დადებით დინამიკას აჩვენებს და ასევე გასათვალისწინებელია ის სპეციფიკური, ობიექტურ გარემოებებზე დამოკიდებული სირთულეები, რაც რუსული ფილოლოგიისა და სლავისტიკის პროგრამების წინაშე დგას.

თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია რიგ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო უნარების განვითარებას:

- კონკურსის საფუძველზე სტუდენტური კვლევების დაფინანსებისათვის (გრანტული წესით) შექმნილი საუნივერსიტეტო ფონდი;
- საფაკულტეტო საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილებით და ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერით მაგისტრანტთა სამეცნიერო ღონისძიებებსა და პროგრამებზე მივლინება;

- შოთა რუსთაველის სამეცნიერო ეროვნული ფონდის მიერ მაგისტრანტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის ხელშეწყობის ინფორმაციული და მეთოდური მხარდაჭერა.
- ახალი სამეცნიერო პლატფორმა, რომელიც ერასმუს + -ის მიერ დაფინანსებული პროექტის HERD – „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში შეიქმნა.

თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად, „მაგისტრანტთა კვლევითი უნარების გამომუშავებას ემსახურება ასევე მათი გაცვლითი კვლევითი ვიზიტები ევროპულ უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში ერასმუს+ -ის პროგრამის ფარგლებში, რისთვისაც ისინი კონკურსის გზით შეირჩევიან.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სასწავლო გეგმები;
- სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და კონფერენციებში
- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარებული და დაგეგმილი კონფერენციების ჩამონათვალი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.tsu.ge;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- სასურველია უსდ-მ მეტად გააქტიუროს მუშაობა სტუდენტებისათვის კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი შესაძლებლობების გამრავალფეროვნების მიმართულებით.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (თარგმანის
თეორია და
მთარგმნელობითი პრაქტიკა,
მაგისტრატურა)

X

□

□

□

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების შესწავლისას ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო სასწავლო კურსების სილაბუსებს, თვითშეფასების ანგარიშსა და უსდ-ში ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგებს. როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, სილაბუსებში ასახული სწავლა-სწავლების მეთოდები უმეტესად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის საგანს, შინაარსს და სწავლის შედეგებს, ისინი მოქნილი და სტუდენტზე ორიენტირებულია.

საგანმანათლებლო პროგრამებში ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისა თუ სხვა ფორმატში ყველაზე ხშირად გამოიყენება წიგნსა და წყაროზე მუშაობის, ანალიზისა და ახსნა განმარტების, ჯგუფური მუშაობის, ვერბალური, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, წერიტი დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში და სხვა. ძლიერი პრაქტიკული კომპონენტის მქონე კურსებში ლექტორი ხშირად მიმართავს დემონსტრირების მეთოდს. სტუდენტებთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ ლექტორთა უმრავლესობა მრავალფეროვან სწავლა-სწავლების მეთოდს იყენებს ლექციაზე მუშაობის დროს. მათ გაიხსენეს კონკრეტული შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ლექტორი, მთარგმნელ-სინქრონისტი ეფექტიანად იყენებდა დემონსტრირების მეთოდს და საკუთარი თარგმანის ფრაგმენტებს განიხილავდა სტუდენტებთან. აქვე უნდა ითქვას, რომ თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამაში მოქმედი და წარმატებული მთარგმნელების ჩართვა ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ფაქტობრივად, სტუდენტებს მასტერკლასების გავლა უწევთ ამ სპეციალისტებთან, რაც მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეთვისების საუკეთესო საშუალებაა და საგრძნობლად ამაღლებს საგნით მათ დაინტერესებასა და მოტივაციას.

სილაბუსებში ნაკლებად იყო ნახსენები მულტიმედიური, აუდიო-ვიდეო დამხმარე საშუალებების გამოყენება და ე.წ. peer reviewing-ის მეთოდი (ვგულისხმობთ, სტუდენტების მიერ ერთმანეთის თარგმნილი მასალის შემოწმებას), თუმცა კურსის განმახორციელებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ისინი მართებულად და ეფექტიანად იყენებენ ხსენებულ მეთოდებს. აღსანიშნავია მეთოდები, რომლებიც

სტუდენტთა განსაკუთრებით ჩართულობასა და დაინტერესებას იწვევს, მაგ.: დისკუსია-დებატები. სტუდენტთა ნაწილმა მოწონებით ისაუბრა ხსენებული მეთოდის გამოყენების შესახებ, თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცალკეულმა სტუდენტებმა აღნიშნეს რიგ სემინარებზე მასალის ძირითადად მხოლოდ თხრობითი სახით გამოკითხვის, ან სწავლების ისეთი მოძველებული ფორმის თაობაზე, როგორც ლექციის დროს მასალის ზედმიწევნით ზუსტი დაკონსპექტება.

სალექციო კურსების განხორციელებისას გამოყენებულია ელექტრონული სწავლების პლატფორმა e-learning-ი, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები LMS-ი, Turnitin-ი და Moodle-ი, რაც საგრძნობლად აიოლებს სტუდენტებისთვის მასალისა და ინფორმაციის მიწოდების, ნაშრომთა პლაგიატზე შემოწმების საკითხს. რუსული ფილოლოგიისა და სლავისტიკის პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში ლექტორ-მასწავლებლები უპირატესობას მაინც წიგნთან მუშაობის მეთოდს ანიჭებენ, თუმცა, ვფიქრობთ, ელექტრონული რესურსების, მათ შორის, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზების უფრო ინტენსიური გამოყენება მხოლოდ სარგებელს მოუტანს პროგრამას (განსაკუთრებით, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ფიზიკური ფორმით სახელმძღვანელოების შეძენას რუსული ფილოლოგიისა და სლავისტიკის მიმართულებებზე ობიექტური წინაღობები აქვს და საგნის განმახორციელებლებს ხშირად თავად უწევთ მასალის მოძიებაზე ზრუნვა) და სტუდენტებსაც ღირებულ ტრანსფერულ უნარებს შესძენს.

საბოლოოდ, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამათა სასწავლო სილაბუსებში მითითებული მეთოდები ეყრდნობა ინტერაქციული სწავლების პრინციპებს და უზრუნველყოფს კონკრეტული სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლა-სწავლების გამოყენებული მეთოდები შეესაბამება სათანადო საგანმანათლებლო საფეხურს და ებმის სასწავლო კურსის შინაარსს. შესაბამისად, კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლა-სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების რეალისტურობასა და მიღწევადობას.

საკვიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- თსუ-ს ვებგვერდი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი - <https://www.tsu.ge>;

- ელექტრონული სწავლების პლატფორმა <https://e-learning.tsu.ge/login/index.php>;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სწავლების მეთოდები სილაბუსებში მიეთითოს არსებული რეალური პრაქტიკის შესაბამისად, ასევე, სასწავლო კურსების ფარგლებში თხრობითი და ზეპირსიტყვიერი კარნახის მეთოდები ჩანაცვლებულ იქნას სწავლების მეტად თანამედროვე მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, სტუდენტებს შორის ინტერაქციას და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.
- სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო ბაზების პოპულარიზაციის მიმართულებით მუშაობა, სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ს შიდა რეგულაციების მიხედვით (თსუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი). საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში. შეფასება ეფუძნება გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპს. თითოეული სასწავლო კურსი ფასდება ინდივიდუალურად, რაც დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკასა და შინაარსზე, ძირითადად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.

ინტერვიუს მსვლელობის დროს სტუდენტებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ შეფასების სისტემა ითვალისწინებს ყველა სტუდენტთან თანაბარ მიდგომას. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი მათთვის საკმაოდ ხელმისაწვდომია და ყოველთვის იღებს უკუკავშირს შეფასების შემდგომ, თუ რატომ შეფასდა ესა თუ ის ნაშრომი კონკრეტული ქულით. სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. სილაბუსთა დიდ უმრავლესობაში წარმოდგენილია დეტალურად გაწერილი რუბრიკები, სადაც სტუდენტს შეუძლია, შეფასების ჩაშლილ ქულებს გაეცნოს.

საკუთარი სწავლის შედეგის შესახებ სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (lms.tsu.ge) და ელექტრონული სწავლების პორტალის (e-learning.tsu.ge) საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სურს ქულის გასაჩივრება, უნივერსიტეტში მოქმედებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგების აპელაციის მექანიზმი. საგამოცდო ქულის ასახვიდან 48 საათის განმავლობაში სტუდენტმა აპელაციის განაცხადი უნდა გააგზავნოს თსუ ელექტრონული სისტემიდან (<http://lms.tsu.ge/>). სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იციან ამ პროცედურების შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არ გამოუყენებიათ აპელაციის მექანიზმი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსების შეფასების სისტემა უმეტეს შემთხვევაში მოიცავს ორ შუალედურ გამოცდას. ინტერვიუების დროს ამ მოდელით კმაყოფილება გამოთქვას როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე სტუდენტთა ნაწილმა. ერთ-ერთი სტუდენტის თანახმად ორი შუალედური გამოცდისათვის მასალის მომზადება მათ ფინალური გამოცდებისთვის წარმატებით მომზადებასა და ცოდნის საფუძვლიანად დაუფლებაში ეხმარებათ. სასწავლო კურსების კრედიტების სტუდენტთა სავარაუდო დატვირთვისთან შესაბამისობაზე მეტყველებს როგორც სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო მასალის მოცულობა, ასევე სტუდენტთა მიერ აღნიშნული ფაქტი, რომ მასალა კარგადაა განაწილებული სასწავლო კურსების განმავლობაში და გამოცდებისთვის მზადებისას პრობლემა არ აქვთ, საგამოცდო დრო სავსებით საკმარისია ნასწავლი მასალის სრულყოფილად გადმოსაცემად.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ნაშრომები მოწმდება აკადემიური კეთილსინდისიერების ელექტრონულ პროგრამაში Turnitin, რაც ემსახურება პლაგიატის პრევენციას. ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისათვის და გათვალისწინებულია სტუდენტთა ნაშრომების შეფასებისას. ნაშრომზე მუშაობის პროცესში, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონული სწავლების პორტალზე Moodle-ი საკუთარი ნაშრომი ატვირთონ როგორც სამუშაო (საცდელ) რეჟიმში, ისე საბოლოო ფორმატის სახით, რის შემდგომ შესაძლებელია ჩამოტვირთული ანგარიშის ანალიზი. პროგრამის მოხმარების ინსტრუქცია განთავსებულია ელექტრონული სწავლების პორტალზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი სტუდენტისთვის.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მოიცავს რეცენზენტის მიერ დაწერილ შეფასებას 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა) და ნაშრომის პრეზენტაციის შეფასებას 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), რეცენზენტის მიერ ნაშრომის 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება.

სამაგისტრო ნაშრომისთვის დეტალურად გაწერილია შეფასების სისტემა. ნაშრომის მომზადების, გაფორმების, საჯარო დაცვაზე წარდგენისა და შეფასების ყველა დეტალს სტუდენტი ეცნობა თსუ-ს

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესში, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის ფაკულტეტის ვებგვერდზე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მოიცავს რეცენზენტის მიერ დაწერილ შეფასებას 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა) და ნაშრომის პრეზენტაციის შეფასებას დაცვის კომისიის მიერ 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), შეფასება ხორციელდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

სილაბუსების შესწავლამ აჩვენა, რომ დაწყვილებულ საგნებში, როგორცაა, მაგალითად, პრაქტიკული იურიდიული თარგმანი (ინგლისურენოვანი/გერმანულენოვანი იურიდიული დოკუმენტაციის თარგმანი); თარგმანის პრაქტიკული კურსი 1,2 (რუსულენოვანი, გერმანულენოვანი); ზეპირი თარგმანის სტრატეგიები (რუსული/გერმანული); წერიტი თარგმანის სტრატეგიები (რუსული/გერმანული), და სხვა. შეფასების კომპონენტები და ქულების გადანაწილება მსგავსია, რაც მართებულად მიგვაჩნია, იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული კურსების სამიზნე ნიშნულებიც იდენტური ან მსგავსია. ექსპერტებს გაუჩნდათ შეკითხვა „თარგმანის პრაქტიკული კურსი 2-ის“ რუსულენოვან სილაბუსში ფინალური გამოცდის შეფასების რუბრიკასთან დაკავშირებით, სადაც 40 ქულა ერთი ტექსტის თარგმანს ეთმობა და ქულების განაწილებაში გარკვეული ქულა ენიჭება არა მხოლოდ თარგმანს, არამედ ანალიზს, მაგ.: „აგნებს ტექსტში თარგმნის თვალსაზრისით სპეციფიკურ მომენტს/მომენტებსა და ანალიზებს მათ; აზრს აყალიბებს მწყობრად, ლოგიკურად, ტერმინების გამოყენებით, ავლენს საგნობრივი ცოდნის განზოგადებისა და დასკვნის გაკეთების უნარს“, მაშინ, როცა ფინალური გამოცდის დავალებად მითითებულია შემდეგი: „ფინალური წერიტი გამოცდა - 40 ქულა. სათარგმნი რუსული ტექსტის მოცულობა დასკვნით გამოცდაზე არ აღემატება 350- 400 სიტყვას. დავალება ფასდება ერთი საერთო ქულით“, ანალოგიური გერმანულენოვანი კურსის სილაბუსში ანალიზის კომპონენტი უკვე დავალებაშიც ჩანს, „ამოწმებს სტუდენტის მიერ მასალის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს იმით, რომ სტუდენტი ასრულებს მიცემული გერმანული ტექსტის ქართულ თარგმანს, პოულობს თარგმნის თვალსაზრისით სპეციფიკურ მომენტებს და აანალიზებს მათ“. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტებს ორივე შემთხვევაში ევალებათ თარგმნილი ტექსტის ანალიზი, თუმცა მოცემულ რუბრიკასთან დაკავშირებით მაინც დარჩა ერთი საყურადღებო საკითხი, 40 ქულიდან დეტალურად ჩაშლილია მხოლოდ 21 ქულის ჩათვლით მიღებული შეფასება, შემდეგ კი ვკითხულობთ, „ნაწერი ფასდება [...]

20-ზე დაბალი ქულით, თუ ის წინა პუნქტში დასახელებულ კრიტერიუმებსაც ვერ აკმაყოფილებს, ანუ ვერც გლობალურად და ვერც სელექციურად ვერ იგებს ტექსტს და ვერ თარგმნის.

0 ქულით, თუ სტუდენტმა საერთოდ ვერ გაიგო ტექსტი; ყველა მისი მსჯელობა მცდარია, ან უამრავი შეცდომის ფონზე აზრი არ იკითხება, ნაწერი ტოვებს უკულტურო შთაბეჭდილებას. ასევე, თუ სტუდენტი უარს ამბობს სამუშაოს შესრულებაზე.“

ინტერვიუს დროს ამ საკითხზე მსჯელობისას საგნის რუსულენოვანი სილაბუსის ავტორმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სტუდენტს ფინალური გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი 20 ქულაზე მაღალ შეფასებას იღებს, რაც ნაწილობრივ ხსნის ქულების მსგავს განაწილებას, მაგრამ ექსპერტთა მოსაზრებით, საჭიროა ამ რუბრიკის დეტალურად ჩაშლა 20 ქულის ქვემოთაც, რათა სტუდენტმა სათანადო უკუკავშირი მიიღოს საკუთარ შეცდომებთან დაკავშირებით და ადეკვატურად შეაფასოს ნაშრომის აპელაციაზე გატანის მართებულობა, თუკი შეკითხვები გაუჩნდება უარყოფითი შეფასების მიმართ.

საერთო მიგნება, რაც კლასტერში წარმოდგენილი ხუთივე პროგრამის თითქმის ყველა სილაბუსს აერთიანებს, არის ის, რომ სასურველია სილაბუსში უფრო კონკრეტულად იყოს განსაზღვრული

პრაქტიკული დავალებების ტიპები. ხშირ შემთხვევაში, სილაბუსებში წარმოდგენილი დავალებების ზოგადი ფორმულირებები ნაკლებ წარმოდგენას იძლევა, თუ კონკრეტულად რომელი დავალების მეშვეობით მოწმდება სწავლის ესა თუ ის შედეგი. შეკითხვები, რომლებიც საგნის განმახორციელებლებთან ექსპერტთა ჯგუფს გაუჩდა შემდეგი ტიპისაა: სწავლის პროცესის რა ეტაპზე და როგორ მოწმდება უნარი „...ქმნის მედია პროდუქციას ინფორმაციის თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკის გამოყენებით“ (შეკითხვა ეხება სილაბუს „ენობრივი კოდი მედიაკომუნიკაციაში“); სწავლის პროცესის რა ეტაპზე და როგორ მოწმდება უნარები: „კითხულობს და თარგმნის პოლონური პრესის ადვილ ფრაგმენტებს ლექსიკონის დახმარებით;“ და „ურთიერთობას ამყარებს პოლონელებთან ყოფით სიტუაციებში; ადგენს ელემენტარულ საქმიან ქაღალდებს“ (შეკითხვა ეხება სილაბუს „პოლონური ენის ინტენსიური კურსი 1“); სწავლის პროცესის რა ეტაპზე და როგორ მოწმდება უნარები „...ისმენს და იგებს საშუალო სირთულის, ნორმალური ტემპით ჩაწერილ აუდიო-ვიზუალურ მასალას, გაბმულ მეტყველებას (თუ მეტყველების ტემპი საშუალოა); იყენებს უკრაინულენოვან ინტერნეტრესურსებს ენის სწავლის პროცესში“ და „წერილობით აყალიბებს კომპლექსურ თემაზე საშუალო სირთულის ტექსტს (ესეს და მისთ.)“ (შეკითხვა ეხება სილაბუს „უკრაინული ენის ინტენსიური კურსი 2“); რა თვისობრივი განსხვავებაა შუალედური გამოცდის თეორიულ (5 ქულიან) საკითხსა და ფინალური გამოცდის თეორიულ (10 ქულიან) საკითხს შორის (შეკითხვა ეხება ყველა იმ სილაბუსს, სადაც მოცემულია სამი 5 ქულიანი თეორიული საკითხი შუალედურ გამოცდაზე და ოთხი 10 ქულიანი თეორიული საკითხი ფინალურ გამოცდაზე); რამდენია პრეზენტაციის დროითი რეგლამენტი, როგორ ხდება თემის არჩევა პრეზენტაციის დროს (შეკითხვა ეხება ყველა იმ სილაბუსს, რომელიც მოიცავს პრეზენტაციას); სწავლის პროცესის რა ეტაპზე მოწმდება უნარი „...ისმენს და იგებს ნორმალური ტემპით ჩაწერილ აუდიო-ვიზუალურ მასალას, გაბმულ მეტყველებას (თუ მეტყველების ტემპი ნორმალურია); იყენებს ინტერნეტ-რესურსებს ენის სწავლის პროცესში“ (შეკითხვა ეხება სილაბუსს საგანში „იურიდიული გერმანული 1, 2“); როდის ეცნობა სტუდენტი გამოცდაზე სათარგმნად მიღებულ 3 ლექსს, თუ აქვთ იმ ტექსტების წინასწარი ჩამონათვალი, საიდანაც შეიძლება მოვიდეს საგამოცდო სათარგმნი მასალა (შეკითხვა ეხება სილაბუსს საგანში „თარგმანის პრაქტიკული კურსი 1, (რუსულენოვანი)“), და სხვა. სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან ინტერვიუს დროს ექსპერტებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს დასმულ შეკითხვებზე, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ კურსის მსვლელობისას სილაბუსებში წარმოდგენილი უნარები სათანადოდ მოწმდება. ამდენად, რეკომენდირებულია დავალებების, პრეზენტაციების, საგამოცდო საკითხების შინაარსობრივი მხარის უფრო კონკრეტულად და მკაფიოდ ფორმულირება, რათა ნათლად გამოჩნდეს შეფასების კომპონენტის კავშირი სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

სასურველია იმ სილაბუსებში, სადაც ფინალური გამოცდა ოთხი თეორიული საკითხითაა წარმოდგენილი, ერთი საკითხი პრაქტიკული დავალებით ჩანაცვლდეს, მაგალითად, შემდეგი არჩევითი საგნების „რუსული ტექსტის ლექსიკურ-სტილისტური ანალიზი“ და „ინგლისური ტექსტის ლექსიკურ-სტილისტური ანალიზი“ სილაბუსებში შესაძლებელია მეოთხე თეორიული საკითხი ჩანაცვლდეს პრაქტიკული საკითხით: მხატვრული ტექსტის ფრაგმენტის სტილისტური ანალიზი დახურული კითხვების მეშვეობით. ამ ორი კურსის პარალელურ კურსში „გერმანული ტექსტის ლექსიკურ-სტილისტური ანალიზი“ შუალედური და ფინალური გამოცდა თარგმანზეა კონცენტრირებული: „შუალედურ, ისევე, როგორც დასკვნით გამოცდას აქვს წერითი ფორმა... თითოეული მათგანი კომბინირებულად ამოწმებს სტუდენტის მიერ შეძენილ თეორიულ ცოდნასა და მასალის პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს იმით, რომ სტუდენტი ასრულებს მიცემული გერმანული ტექსტის ქართულ თარგმანს, პოულობს თარგმნის თვალსაზრისით სპეციფიკურ მომენტებს და აანალიზებს მათ. სათარგმნი გერმანული ტექსტის მოცულობა არ აღემატება შუალედურ გამოცდაზე 300 სიტყვას, დასკვნით გამოცდაზე 400 სიტყვას.“ ვფიქრობთ, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია ხსენებული სილაბუსის პარალელური ორი საგნის სილაბუსთან სინქრონიზაცია და გამოცდებზე ყურადღების გადატანა

უშუალოდ ლექსიკურ-სტილისტური ანალიზის კომპონენტზე, რადგან თარგმანთან დაკავშირებული დავალებები პროგრამის თითქმის ყველა სილაბუსში უხვადაა წარმოდგენილი.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- თსუ-ს ვებგვერდი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი - <https://www.tsu.ge>;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესები;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 მაისის N37 დადგენილება სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი; <https://www.tsu.ge/ka/legalakad/15638>
- ელექტრონული სწავლების პორტალი <https://e-learning.tsu.ge/>
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სილაბუსებში მოცემული დავალებების, პრეზენტაციების, საგამოცდო თეორიული საკითხების ზუსტი და მკაფიო ფორმულირება, რათა ნათლად გამოჩნდეს შეფასების კომპონენტის კავშირი სილაბუსში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ სილაბუსებში, სადაც ფინალური გამოცდა ოთხი თეორიული საკითხითაა წარმოდგენილი, ერთი საკითხი პრაქტიკული დავალებით ჩანაცვლდეს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა).

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სილაბუსებში, სადაც ფინალურ დავალებას წარმოადგენს ერთი ტექსტის თარგმანი, რომელიც 40 ქულით ფასდება, სასურველია რუბრიკის დეტალურად ჩაშლა 20 ქულის ქვემოთაც, რათა სტუდენტმა სათანადო უკუკავშირი მიიღოს საკუთარ შეცდომებთან დაკავშირებით და ადეკვატურად შეაფასოს ნაშრომის აპელაციაზე გატანის მართებულობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდამჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე, ირკვევა რომ უსდ ზრუნავს სტუდენტთა მხარდამჭერასა და საკონსულტაციო მხარდამჭერაზე. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. სტუდენტს შეუძლია მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურს საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების შინაარსის, წინაპირობების, კრედიტების დაგროვების და სხვა საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით. ასევე აკადემიური პერსონალი მუდმივად

უწევს კონსულტაციას სტუდენტებს სხვადასხვა მიმართულებით. სემესტრის დასაწყისში, სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და კურსის შინაარსის შესახებ. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია საკონსულტაციო საათები და ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს უკუკავშირს სტუდენტსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შორის.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა აკადემიური პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელების მეტი ჩართულობა სტუდენტების კონსულტირების და ინფორმირების მიმართულებით, ვიდრე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების. სტუდენტები ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და საუნივერსიტეტო ელ. ფოსტის მეშვეობით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა მოლოდინია კონკრეტული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით მეტი გაცვლითი პროექტები და პროგრამები იქნას შეთავაზებული. რადგან კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს არ აქვთ ფართო არეალი გაცვლითი შესაძლებლობების თვალსაზრისით, სტუდენტები თავადაც ცდილობენ, რომ მოიძიონ გაცვლითი პროექტების შესახებ ინფორმაცია და/ან ლექტორები, პირადი კონტაქტებით ეხმარებიან მათ ამ მიმართულებით შესაძლებლობების მოძიებაში. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია CSL (Critical Language scholarship). აღსანიშნავია, რომ იმ კონკრეტული სტუდენტებს, ვინც ჩეხურ ენას სწავლობს, მეტი შანსი აქვთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების. შეხვედრის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ახლაც სწავლობს რამდენიმე სტუდენტი ჩეხეთში Erasmus+ ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით რუსული ფილოლოგიის და სლავისტიკის პროგრამების მიმართულებითაა გაცვლითი პროგრამის შესაძლებლობების სიმწირე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ პრობლემის ობიექტური მიზეზი, სასურველია, გააქტიურდეს თანამშრომლობა ევროპისა და ამერიკის იმ სასწავლო დაწესებულებებთან, სადაც ანალოგიური პროგრამები ხორციელდება, რათა რუსული ფილოლოგიისა და სლავისტიკის პროგრამების სტუდენტებმა არ ჩათვალონ, რომ ისინი მოწყვეტილნი არიან უნივერსიტეტში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების მხრიდან აღნიშნულ იქნა, რომ აკადემიური პერსონალი მუდმივად ცდილობს სტუდენტებს შესთავაზონ სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობა, მაგალითად წიგნის თარგმნის პროცესში მონაწილეობა, რომელსაც საკმაოდ დადებითი უკუკავშირი მოჰყვა სტუდენტების მხრიდან და იღებენ გამოცდილებას სხვადასხვა მსგავს პროექტებში მონაწილეობის მეშვეობით.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მოქმედი და კურსდამთავრებული სტუდენტების მეტი ჩართულობის საჭიროება პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესებში. მათი ნაკლები ინიციატივა და ენთუზიაზმი ჩართონ პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესებში საჭიროებს სტიმულირებას. სტუდენტთა ნაწილის მხრიდან აღინიშნა, ქართული ენის სიდრმისეულად შესწავლის საჭიროება, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეს და ასახულია პროგრამებში. ასევე აღსანიშნავია,

არაეთნიკურად ქართველი სტუდენტის გამოხმაურება, რომელმაც რუსულისა და ქართულის საწყისი დონე გაიუმჯობესა და გამოხატა კმაყოფილება აკადემიური პერსონალით, მათი ინდივიდუალური მიდგომებითა და ხელმისაწვდომობით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თსუ-ს ვებგვერდი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი - <https://www.tsu.ge>;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია უსდ-მ წახალისოს სტუდენტების თვითშეფასების პროცესში პირდაპირი მონაწილეობა, რაც ხელს შეუწყობს მათი ინიციატივისა და ენთუზიაზმის გამოვლენას პროგრამების განვითარების პროცესში.
- სასურველია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტებისათვის მეტი გაცვლითი პროგრამების შეთავაზების მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს შემუშავებული აქვს მაგისტრანტის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის, დანიშვნის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის განმსაზღვრელი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელებად განსაზღვრულ პირებს აქვთ შესაბამისი მიმართულებით მრავალფეროვანი სამეცნიერო თემატიკის ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ რეგულარულ კონსულტაციებს საკვლევო თემატიკისა და სამაგისტრო სტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციის მოძიების, კვლევის მეთოდოლოგიისა და სამეცნიერო საქმიანობის ირგვლივ.

ოსუ-ს სპუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად უხელმძღვანელოს 3 აქტიურ სტუდენტს. ამგვარად, ხელმძღვანელობის მაქსიმალური დატვირთვის განსაზღვრული მეთოდოლოგია ხელს უწყობს კვლევითი კომპონენტის ეფექტურ და შეუფერხებელ განხორციელებას. უსდ ასევე უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასებას.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) ¹⁰	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	32
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	-
მაგისტრანტების რაოდენობა	21
//დოქტორანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	1.5

¹⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	-
--	---

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- თსუ-ს ვებგვერდი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი - <https://www.tsu.ge>;
- თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ენებისა და თარგმანის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამების განხორციელებაში ჩართულია საქართველოს კანონმდებლობის და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. მათ აქვთ განხორციელებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე პროფესიული გამოცდილება. მოწვეული პერსონალი აღჭურვილია სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით. გარდა ამისა, პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შესაბამისი პროფილის ნაშრომებით: მონოგრაფიებით, სამეცნიერო სტატიებით საერთაშორისო აღიარების მქონე რეფერირებად ჟურნალებში და სხვ. საბაკალავრო ნაშრომებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებად განსაზღვრულ პირებს ასევე აქვთ შესაბამისი მიმართულებით მრავალფეროვანი სამეცნიერო თემატიკის ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. მათი რაოდენობა უზრუნველყოფს კომპონენტების შეუფერხებელ განხორციელებას.

კლასტერის პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს თანამედროვე ცოდნა, მეცნიერებაში უახლესი მიღწევების შემოქმედებითი და კრიტიკული ანალიზის უნარი, ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემუშავების წარმატებული გამოცდილება. პროგრამას გააჩნია აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც ასევე მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით დატვირთვას სხვა უსდ-ში დასაქმების შემთხვევაშიც. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვა, მათ შორის კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დატვირთვა, კონტროლდება უსდ-ს მიერ რათა უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებლად განხორციელება და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვანი შესრულება. თსუ-ში მოქმედი რეგულაციებით, სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვაა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი; ასევე, განსაზღვრულია მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა (როგორც „ა“, ასევე „ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის) დამხმარე პერსონალისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული პოზიციისათვის, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. თვითშეფასების ანგარიშის, თანმხლები დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების შესწავლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები. ინტერვიუების დროს ნათლად გამოჩნდა სტუდენტების კმაყოფილება როგორც პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მაღალი აკადემიური დონით, ასევე მათი მუდმივი მზადყოფნით, დახმარება გაუწიონ და ხელი შეუწყონ სტუდენტებს სათანადო ცოდნის მიღებისა და საკვლევ თემებზე მუშაობის საქმეში, იქნება ეს საკვლევ მასალით უზრუნველყოფა, პირადი სამეცნიერო გამოცდილების გაზიარება, თუ კონსულტაციებისთვის მზადყოფნა. იმის გათვალისწინებით, რომ საკვლევ თემების ხელმძღვანელობისთვის გამოყოფილი დატვირთვა (საბაკალავრო/სამაგისტრო დონეზე) მცირე არაა (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადების და დაცვის წესის მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, საბაკალავრო თემის ხელმძღვანელს შეუძლია ერთდროულად უხელმძღვანელოს არაუმეტეს 7 სტუდენტს, ხოლო სამაგისტრო თემის შემთხვევაში - არაუმეტეს 3 სტუდენტს), ლექტორ-მასწავლებელთა მსგავსი დამოკიდებულება უდავოდ იმსახურებს აღნიშვნას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა)

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ეყრდნობა იმ მრავალწლოვან ტრადიციებს, რომელიც რუსული ფილოლოგიის განხრით არსებობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის წამყვანი სპეციალისტების მაღალი აკადემიურობა და ცნობადობა რეგიონულ თუ უცხოურ აკადემიურ სივრცეებში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის ხელისშემწყობი ფაქტორია. პროგრამაზე აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებისთვის და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობა ნათელყოფს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების შესწავლით დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაღალი ხარისხი და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობა.

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	152
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	52
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	21
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	48
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	31

საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის დატვირთვა შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას, ასევე ითვალისწინებს სტუდენტების საკონსულტაციო საათებს. საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 18.2%, ხოლო, შენარჩუნება - 83.3%-ს; მოწვეული პერსონალის შემთხვევაში მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: დენადობა - 14.3%, ხოლო შენარჩუნება - 85.7%.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი), პრაქტიკული გამოცდილებით (სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება) და სამეცნიერო ნაშრომებით (ბოლო ათწლიან პერიოდში 28 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორობა; 1 სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელობა; 23 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში/სიმპოზიუმში მონაწილეობა; 19 სახელმძღვანელოს/სალექციო კურსის ავტორობა; 7 ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს/კოლეგიის წევრობა; 18 კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსში (ტრენინგი, სასერტიფიკატო

კურსები) მონაწილეობა). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ გამოავლინა მათი განსაკუთრებული კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პერსონალი მუდმივად მზადაა დახმარებისთვის და მათი პროფესიონალიზმი და გამოცდილება ღირებულია სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის.

პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, საბაკალავრო პროგრამა) ¹¹				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹²	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹³	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	5	10	10	5
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	7	5	5	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა)

თსუ-ს „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამას ხელმძღვანელობს ორი პროფესორი (სრული და ასოცირებული), მათ გააჩნიათ პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობის ხანგრძლივი გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი რეზიუმეებითა და დოკუმენტაციით. განხორციელებული ინტერვიუები ადასტურებს მათ აქტიურ მონაწილეობას პროგრამის მომზადების ყველა ეტაპზე და სტუდენტებზე ზრუნვას. „რუსული ფილოლოგიის“ რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პირები, რომლებსაც გააჩნია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია. პროგრამას ახორციელებს დარგობრივი მიმართულების 8 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 4 აფილირებული

¹¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹² ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹³ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აკადემიური პირი (1 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი) და 4 მოწვეული პერსონალი (მათ შორის ერთი პროფესორ-ემერიტუსი). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად (კონკურსის საფუძველზე).

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობამ და გასაუბრებამ ცხადყო, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის პროცესში, კერძოდ, სისტემატურად ახორციელებენ საერთო ღონისძიებებს პოლონეთის, ამერიკის საელჩოებთან, უნივერსიტეტებთან და სხვ. ამის დასტურია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონაცემები ბოლო 5 წლის განმავლობაში: ადგილობრივი ჟურნალებში პუბლიკაციები - 34; საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციები - 16; ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა - 48; საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა - 31 (სულ 129).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას. ამ მიზანს ემსახურება სტუდენტებისა და გამოცდილი მასწავლებლების ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები. თსუ-ს სტუდენტებს აქვს საშუალება გამოაქვეყნონ მათი სტატიები საფაკულტეტო ჟურნალში „სპეკალი“.

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 22%, რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), საბაკალავრო პროგრამა) ¹⁴				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹⁶	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	8	8	8	4
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3

¹⁴ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	4	4	4	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)

სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ეყრდნობა იმ მრავალწლოვან ტრადიციებს, რომელიც სლავური ფილოლოგიის განხრით არსებობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის წამყვანი სპეციალისტების მაღალი აკადემიური და ცნობადობა რეგიონულ თუ უცხოურ აკადემიურ სივრცეებში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებისთვის ხელისშემწყობი ფაქტორია. პროგრამაზე აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებისთვის და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობა ნათელიყოფს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების შესწავლით დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხი.

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	159
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	42
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	28
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	52
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	37

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალის დატვირთვა შეესაბამება უსდ-ს დატვირთვის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას, ასევე ითვალისწინებს სტუდენტების საკონსულტაციო საათებს. ზემოთქმულს ადასტურებს პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები. სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლ. 15.4%, ხოლო შენარჩუნება - 85.7%-ს; მოწვეული პერსონალის შემთხვევაში მაჩვენებელი შემდეგნაირად გადანაწილდა: დენადობა - 13.3%, ხოლო შენარჩუნება - 87.5%.

სამაგისტრო პროგრამას სლავურ ფილოლოგიაში ხელმძღვანელობას უწევს რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან (დამატებითი მონაცემებისათვის იხ. პროგრამა 1). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა მათი განსაკუთრებული კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პერსონალი მუდმივად მზადაა დახმარებისთვის და მათი პროფესიონალიზმი და გამოცდილება ღირებულია სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა ¹⁷)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹⁸	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹⁹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	8	9	5
- პროფესორი	2	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	4	3	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	7	4	4	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის “სლავური ფილოლოგიის“ რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მათი კვალიფიკაცია მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. პროგრამის განმახორციელებელ პირებს, ძირითად და მოწვეულ პერსონალს, გააჩნია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია.

¹⁷ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁸ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

“სლავური ფილოლოგიის“ რუსულენოვან სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს 13 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 6 აფილირებული აკადემიური პირი (2 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი) და 7 მოწვეული პერსონალი (მათ შორის ერთი პროფესორ-ემერიტუსი). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად (კონკურსის საფუძველზე). სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 14 %, რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე.

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებსა და სპეციფიკას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის პროცესში, კერძოდ, სისტემატურად ახორციელებენ საერთო ღონისძიებებს პოლონეთის, ამერიკის საელჩოებთან, უნივერსიტეტებთან და სხვ. უკრაინული ენის სპეციალისტი მოწვეულია ერაზმუს პლიუსის პროგრამის ფარგლებში ლექციების ჩასატარებლად ევროპულ უნივერსიტეტებში.

შთამბეჭდავია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში - 159: ადგილობრივი ჟურნალებში პუბლიკაციები - 42; საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციები - 28; ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა - 52; საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა - 37.

აღსანიშნავია, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელების მაღალ კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით, განხორციელებული ღონისძიებებით და სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დადებითი გამოხმაურებებით.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას. ამ მიზანს ემსახურება სტუდენტებისა და გამოცდილი მასწავლებლების ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები. თსუ-ს სტუდენტებს აქვს საშუალება გამოაქვეყნონ მათი სტატიები საფაკულტეტო ჟურნალში „სპეკალი“.

აგრეთვე, პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)²⁰

²⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²¹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²²	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	13	8	9	5
- პროფესორი	2	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	4	3	4	4
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	7	4	4	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა)

რუსული და სლავური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისგან განსხვავებით, გაცილებით ახალ განაცხადს წარმოადგენს ამ სფეროში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, რაც, თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით, პრაქტიკულ მთარგმნელობით კომპეტენციებზე შრომითი ბაზრის მოთხოვნამ და დარგის სწრაფმა განვითარებამ, ახალმა გლობალურმა გამოწვევებმა განაპირობა. პროგრამის წამყვანი სპეციალისტების მაღალი აკადემიური დონე და რეგიონულ თუ უცხოურ აკადემიურ სივრცეებში ცნობადობა უზრუნველყოფს პროგრამის წარმატებულ ფუნქციონირებას. პროგრამის აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებისთვის და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობა ნათელყოფს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების

²¹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²² საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შესწავლით დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი პირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხი.

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	120
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	29
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	20
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	38
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	21
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები	12

სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალის დატვირთვა შეესაბამება მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას და ითვალისწინებს სტუდენტების საკონსულტაციო საათებს. ზემოთქმულს ადასტურებს პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

ბოლო 5 წლის განმავლობაში როგორც სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული პერსონალის შემთხვევაში დენადობაა 0 %; შენარჩუნება - 100 %. აღსანიშნავია სამაგისტრო პროგრამის მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი. მისი კომპეტენციის დადასტურებაა სფეროს შესაბამისი განათლება (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი), პრაქტიკული გამოცდილება (სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება), სამეცნიერო ნაშრომები და სხვა მიღწევები (6 მონოგრაფიისა და 4 სახელმძღვანელოს ავტორობა; 69 მნიშვნელოვანი პუბლიკაცია საქართველოსა და უცხოეთში; 55 საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა 2007 წლიდან დღემდე (საქართველოს და უცხოეთის მასშტაბით); 25 ადგილობრივი მასშტაბის კონფერენციაში მონაწილეობა 2007 წლიდან დღემდე; 9 საგრანტო პროექტში მონაწილეობა 2009 წლიდან დღემდე; 3 მოპოვებული სტიპენდია; 2 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა; 5 წიგნის რედაქტორობა; 11 კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი 2004 წლიდან დღემდე, 3 საბჭოს წევრობა 2009 წლიდან დღემდე.) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ გამოავლინა მათი განსაკუთრებული კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პერსონალი მუდმივად მზადაა დახმარებისთვის, ხოლო მათი პროფესიონალიზმი და გამოცდილება ღირებულია სტუდენტების განვითარებისთვის. პროგრამას განახლებული სახე, დამატებული საინტერესო საგნები და გადახალისებული კომპონენტები იძლევა იმედს, რომ მომავალში სტუდენტთა კმაყოფილების დონე კიდევ უფრო გაიზრდება.

პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, სამაგისტრო პროგრამა) ²³				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²⁴	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	8	16	11	8
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	6	6	5	6
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	10	8	4	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის ჩამონათვალი;
- თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება და ფაკულტეტის სტრუქტურა
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი https://www.tsu.ge/data/file_db/orders/118-danarti1.pdf;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებით (ამავე თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი);
- პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობების აღწერა;
- თსუ-ს ვებგვერდი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი - <https://www.tsu.ge>;

²³ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²⁴ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁵ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №81/2018, 26 თებერვალი, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი;
- განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (რუსული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი), ბაკალავრიატი)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა, მაგისტრატურა)	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ოსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა დამტკიცებას სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ. აღნიშნული დებულება მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ისე კვლევით პროცესს, კომპონენტების შესრულების კონტროლსა და ხელმძღვანელების შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალური და გამჭვირვალეა და შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს და პროგრამების სპეციფიკას.

კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო პროგრამებით განსაზღვრული სავალდებულო კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი. სლავური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამებისა და თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები არიან უახლესი ცოდნით აღჭურვილი დარგის აკადემიური პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები რომელიც შეესაბამება მაგისტრანტების ნაშრომების ზოგად მიმართულებებსა და თემატიკას. მათ ასევე აქვთ ახალგაზრდა მკვლევართა ზედამხედველობის,

ხელმძღვანელობისა და გადამზადების გამოცდილება. ყოველივე ამას ადასტურებს მათი აკადემიური და კვლევითი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ინტერვიუებისა და შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასტერში წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება სტუდენტების ხელმძღვანელობის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა) და პროგრამა 4 (სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამის პერსონალი დაკომპლექტებულია 6 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალისაგან, მათ შორის 11 დოქტორის ხარისხის მქონე პირებისგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება, ცოდნა და კომპეტენციები, რათა უხელმძღვანელონ სტუდენტებს სამაგისტრო კვლევის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში. ნაშრომის ხელმძღვანელები აღჭურვილნი არიან დარგის უახლესი ცოდნით, აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კვლევებში და გააჩნიათ ხელმძღვანელობის გამოცდილება. მათი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტთა მხარდაჭერა დასტურდება აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში განხორციელებული გასაუბრებებით, ასევე პერსონალის პერსონალური დოკუმენტაციით და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებით.

პროგრამა 3 (სლავური ფილოლოგია, სამაგისტრო პროგრამა)²⁶			
